# საქართველო

წლიწადი მეხუთე | პარასკევი, 29 მარიამობისთვე 1919 წ. № 185 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73


დეკანოზი გაბრიელ პეტრეს ძე ცაგერეიშვილი მეუღლით და შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი მამის—დეკანოზ

**პეტრე გაბრიელის ძე ცაგერეიშვილის**

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება შაბათს, 30 მარიამობისთვეს, ქალაქ ქუთაისში. 2 2070—1

---

აგვისტოს 27-ს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი

**ოტია (სამსონ) ალმასხანის ძე ნემსაძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა მეუღლე ლიუცია, შვილები ალექსანდრე, ნატალია, მარიამი, ეკატერინე, სიძე იოველ ლორთქიფანიძე და შვილი-შვილი ქეთინო. დაკრძალვა შაბათს, 30 აგვისტოს (ახ. სტ.) ნაშუადღევს. ოთხ საათზე საკუთარ სახლიდან ჰოსპიტლის შესახვევი. 1—2072—1

---

**საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა**
აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა

**საზოგადო კრების გაგრძელება**

დანიშნულია პარასკევს, 29 ამ აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე (ფრეილინის ქუჩა № 11).
მდივნის ამხანაგი **ე. ჯორჯაძე.** 1—167—1


## მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საზირვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებოდ დამზადებული ნახშირი და დიდ-ძალი კირი, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში.** საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისში, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ. № 11—45.

**ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო".**
15—1002—7

---

**სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა**

## პირველი ქართ. ბუხჰალტერიის კურსები

ორივე სქესისათვის წლოვანობის განურჩევლად.

## ალ. გ. საათაშვილისა

(წელიწადი მეორე)

კურსებზე შესვლა და პირობის გაგება ყოველ დღე შეიძლება დილის 9-დან 12 საათამდე და ნაშუადღევის 4-დან 6 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, დუშეთის ქუჩა (1-ლი უბანი, წყნეთის ქ. ახლოს), სახლი № 9, ტრამ. ვაგონები №№ 5, 9.
2—2607—1

---

## გორში

პარასკევს 29 აგვისტოს იმართება

## დიდი საღამო-სეირნობა

საღამოში მონაწილეობას იღებენ: მომღერალი დავ. აკოფაშვილი, სახელმწიფო თეატრის მოცეკვავენი: ქ-ნი ლინევიჩ და ბ-ნი ლინევიჩ,

პოეტები: **პაოლო იაშვილი ტიციან ტაბიძე და ლელი ჯაფარიძე**

სეირნობა მოწყობილი იქნება მრავალი გასართობებით

სურათები, შარჟები, ქართული აუქციონი, ლატარია, ამერიკული ცხენები, ყვავილები, ინგლისური საჩუქრები, ლექსები, ექსპრომტები.

**ვახშამი ქეიფი დილამდე**


## ბათომის ყრილობა

დღეს, 29 მარიამობისთვეს, ქალაქ ბათომში უნდა შესდგეს სრულიად აჭარა-ქობულეთის წარმომადგენელთა ყრილობა. ეს თუ გნებავთ, სამაჰმადიანო საქართველოს ერთი ნაწილის დამფუძნებელი კრებაა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ამ მხარის ორიენტაციის საკითხი, მისი პოლიტიკური ბედი. მეორე თვეა, რაც ამ მხარეში საჯარო კრებები იმართება. ამ კრებებზე ხალხი მსჯელობს თავის აწინდელ ბედსა და მდგომარეობაზე, გამოაქვს დადგენილება თუ საითკენ უნდა მიიქცეს აჭარა ქობულეთი და ირჩევს თავის წარმომადგენლებს ბათომის ყრილობაზე გასაგზავნათ. სულ, მთელი მხარე ას ოც წარმომადგენელს გზავნის.

ამ ას ოცმა წარმომადგენელმა უნდა ამცნოს ქვეყანას, თუ რას ფიქრობს სამუსულმანო საქართველო და რანაირია მისი პოლიტიკური შეგნება. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც აჭარა-ქობულეთი თავის ბედს თვითვე სწყვეტს. ამ უკანასკნელმა ოთხმა წლიწადმა დიდი ცვლილება შეიტანა აჭარელთა შეგნებაში. ხალხმა საკუთრივ გამოსცადა და დაინახა, თუ ვინ არის მისი ნამდვილი მეგობარი, ვინ არის მისი სისხლი და ხორცი და ვინ მოქმედებდა თავდადებით, რომ მას განადგურება აშორებოდა. ამ ოთხი წლის უბედურებაში აჭარამ ჰპოვა თავისი დაკარგული პიროვნება და შეიგნო რომ იგი საქართველოს ღვიძლი ნაწილია; მან დაიბრუნა ეროვნული შეგნება და სარწმუნოება ეროვნებისაგან გამოჰყო. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ეს დიდი გამარჯვებაა. დიდი გონებრივი გამოფხიზლებაა და დღეს აჭარა ცალკე აყენებს სარწმუნოებასა და მის ზედგავლენით შექმნილ ზნე-ადათებს და ცალკე აყენებს ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხს. აჭარა დარწმუნდა, რომ ქრისტიანი ქართველობა უაღრესი პატივმცემელია მისი მუსლიმანური სარწმუნოების და რომ იგი მოწიწებით ხელ უხლებლობაში იყოლიებს ამ სარწმუნოების, ამ გრძნობის ცხოვრებაში დასტურ-ყოფას. პოლიტიკური ფორმა, პოლიტიკური გარანტიები გამოსძებნეს ორთავემ ერთად: მუსლიმანმა და ქრისტიანმა ქართველობამ. ეს პოლიტიკური ფორმაა მთელი სამუსლიმანო საქართველოსთვის ფართო თვითმართველობა, ავტონომია. მუსლიმანი ქართველობა თავის რელიგიას, თავის ზნე-ადათს და მთელ თავის შინაურ ცხოვრებას თვითონ გაუძღვება და ისე მოაწყობს, როგორც მას სურს. ამაში ქრისტიანი ქართველობა არ გაერევა. ყველა დანარჩენ საქმეში სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველო ერთად იქნება, ჭირში და ლხინში განუყოფელი. ერთი დედა-სამშობლო აქვს, როგორც ქრისტიან ქართველს, ისე მაჰმადიან ქართველს; ორივემ ერთად უნდა დაიცვას საერთო სამშობლო და ერთად დაღვარონ სისხლი მისი დამოუკიდებლობისათვის. გაღვიძებულმა ეროვნულმა შეგნებამ აჭარა-ქობულეთი დედა-სამშობლოს—საქართველოს—დაუბრუნა. მოხდა დიდი სულიერი რევოლუცია; გაბათილდა, რაც სამასი წლის მონობამ აჭარა-ქობულეთს გულში ჩაუშენა საქართველოს უარყოფის გრძნობა. გამთელდა საქართველოს საბედისწერო ფსიხოლოგიური ზიანი, გამთელდა საქართველოს შუაზე გაჩეხილი სხეული. ამიერიდან ერთი ეროვნული გრძნობა, ერთი ეროვნული ნებისყოფა, ერთი ეროვნული მიზანი და პოლიტიკა ჩაუდგამს სულს და შთაუბერს სამოქმედო ენერგიას ამ გაერთიანებულ სხეულს. საქართველოს აღორძინების და ბრწყინვალების ერთი ძირითადი პირობა დღეს უნდა დაადასტუროს და ხორცი შეასხას ბათომის ყრილობამ.

გაუმარჯოს ამ ყრილობას.

გაუმარჯოს აჭარა-ქობულეთის ხალხს, გაუმარჯოს მის შეგნებულ ბელადებს.

გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას.

გაუმარჯოს გაერთიანებულ საერთო სამშობლოს, დედა საქართველოს!

## მთავრობის წრეებში

**23 მარიამობისთვის სხდომა**

**ადმინისტრაციის შესანახათ**

მიეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სესხათ 1 500,000 მან. სამხედრო ფონდით სამხედრო ფონდიდან ახალციხე ახალქალაქის მაზრის ადმინისტრაციის შესანახათ.

**სატეხნიკო თათბირის გაუქმება**

გაუქმებულ იქმნას ამა წლის 1 სექტემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული სატეხნიკო თათბირი თავის კანცელარიით. შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთ სალიკვიდაციო ჯილდო მიეცეთ არსებულ კანონისა და წესის მიხედვით.

**საგანგებო კომისია**

დუშეთის სამყრობილედან ტუსაღების გაქცევის გამო ადგილობრივ საქმის გამოსაძიებლათ გაიგზავნოს საგანგებო კომისია. ეთხოვოს სახალხო გვარდიის შტაბს დუშეთის სამყრობილეს დროებით დაცვა დაავალოს ადგილობრივ გვარდიას.

**სალიკვიდაციოთ**

გადაიდოს გზათა სამინისტროს გზა ტკეცილების სამმართველოს განკარგულებაში 20409 მ. 99 კ. შტატ გარეშე დატოვებულ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლათ.

**სარევიზიო კომისიაში**

სატრანსპორტო საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრებათ დაინიშნონ: ინჟ. ვ. მაისურაძე, ვ. დემიდოვი, ვახტან ჟორდანია. მათ კანდიდატებათ ნ. ლეჟავა ინჟ. ი. ბერიძე ინჟ. ვ. კაკაბაძე.

**უარი სესხის გაღებაზე**

მოხსენება სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტისათვის მისი საშუალებათა გასაძლიერებლათ ხაზინიდან 6 მილიონი მანეთის სესხათ მიცემის შესახებ უარყოფილ იქმნას.

## წერა-კითხვის საზოგადოების საყურადღებოდ

წინად ქართველი ერისთვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეიძლება უფრო მეტი მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე არის ჩვეულებრივ განათლების სამინისტრო. მისი საქმიანობა ისეთი მრავალფეროვანი იყო და ისეთ მძიმე პირობებში მიმდინარეობდა, რომ ყველა საქართველოს კულტურულ განვითარების მოტრფიალე გულის ფანცქალით შესცქეროდა მის მოქმედებას; ერთი მხრით მუდამ შიშში ვიყავით,ვაი თუ მიგვიკეტონ ეს ერთად-ერთი განმანათლებელი დაწესებულებაო და მეორე მხრით მუდამ ვწუხდით, საზოგადოება ვერ წვდება თავის დიდ დანიშნულებას და იმდენს ვერ აკეთებს, რამდენიც მას მოეთხოვებაო.

დღეს პირობები ძირიანად შეიცვალა, დღეს აღარ უხდება საზოგადოებას ბრძოლა ქართულ სკოლისათვის,—ქართველ ერის განათლების საქმეს განაგებს ჩვენი რესპუბლიკის სათანადო სამინისტრო; არც სჭირდება საქართველოს სიძველენის ძებნა და წუხილი, ვაი თუ ვინმემ მოგვტაცოს და შეიძლება სულ მოსპოსო,—ამისთვის მოღვაწეობს მუზეუმი და თან მას შველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალა. მაგრამ ნუ იფიქროთ, რომ ყველა ამით ჩვენი საზოგადოების მოვალეობა შემცირებულიყოს. პირიქით ის უფრო გაიზარდა, გადიდდა. ქართველ ერს აუსრულდა მისი ოცნება. ის დღეს თავისუფალია. და თავისუფლებამ მას მიანიჭა საშვალება ფართოდ გაშალოს თავისი გონებრივი შემოქმედება. ქართული კულტურის მოტრფიალე დღეს უნდა განიცდიდეს ორგვარ გრძნობას: უსაზღვრო აღტაცებას, რომ დაიმსხვრა მისი შემბოჭველი ბორკილები და უმაღლესი სიკეთე-თავისუფლება მიენიჭა, მეორე მხრით ის უნდა გრძნობდეს იმ დიად მოვალეობას, რომელიც მას იმ თავის უფლებამ დააკისრა. წინად თუ თავს ვიმართლებდით, რა ვქნათ, მუშაობა გვწადია, მაგრამ ხელ-ფეხი შეკრული გვაქვს უცხოელთა მიუხეშავი ბატონობითო, დღეს ეს აღარ გვეთქმის, დღეს პირიქით თავისუფალი ერი თავის შვილებს აქეზებს, მოდით და იმუშავეთო. ძნელია დღევანდელი მომენტი, მაგრამ ტკბილი და საამაყო. და განა ასეთ დროს ვინმეს ეპატიება დაუდევრობა და უსაქმობა?

წერა კითხვის საზოგადოებას ბევრი საზრუნავი ჩამოშორდა, მაგრამ დარჩა სამაგიეროდ ერთი დიდი საზრუნავი წიგნების გამომცემლობა.

ეროვნულმა სკოლამ ერთბაშად ისეთი დიდი მოთხოვნილება წამოაყენა, რომ მისი წესიერად დაკმაყოფილება დიდ მუშაობას მოითხოვს. და არა მარტო სკოლამ, თავისუფალი ხალხი ითხოვს გონებრივ საზრდოს. თუ წინად წერა-კითხვის საზოგადოება ემსახურებოდა ჩვენ გონებრივ განვითარებას მცირედი მონათხოვარი შემოსავლით, დღეს, მართალია, ეს შემოსავალი ჩვენი დაუდევრობის წყალობით თითქმის შეწყდა, მაგრამ სამაგიეროდ სახელმწიფომ მას დიდი სუბსიდი მისცა და უთხრა. აბა შენ იცი, სასკოლო სახელმძღვანელოები მაინც დროზე დაამზადეო.

მოგეხსენებათ, სასკოლო სახელმძღვანელოებს თავისი სეზონი აქვს. სწორეთ ეხლა, სწავლის განახლების წინ გამომცემელთა და წიგნის მაღაზიების მუშაობა აღწევს უმაღლეს წერტილს მუშაობისას. და სწორეთ ასეთ დროს წასულა დასასვენებლად წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობის მდივანი. არავინ იფიქროს, მე მოსამსახურე პირის დასვენების წინააღმდეგ ვიყო, მაგრამ ჩემი აზრით მოსამსახურე უნდა ისვენებდეს არა მაშინ, როცა დაწესებულებას ესაჭიროება მაქსიმალურ ძალ-ღონის გამოჩენა, არამედ მაშინ, როცა თვით დაწესებულება ისვენებს, ე. ი. მინიმალური სამუშაო აქვს. ისვენებს აგრეთვე გამგეობის ის წევრი, რომელსაც საგანგებოდ გამომცემლობის საქმე აქვს ჩაბარებული და ამისთვის განსაზღვრულ გასამჯელოს იღებს. ძველ დროში გამგეობის წევრს რაიმე გასამჯელო არ დასიზმრებია, მაგრამ არა ერთი გამგეობის წევრი მინახავს მთელ ზაფხულს წერა-კითხვის საზოგადოებაზე მიკრული. ისიც არ უნდა გვავიწყდებოდეს რომ მაშინ ჩვენ გვყავდა ისეთი დაუღალავი მუშაკი, როგორც იაკობ გოგებაშვილი იყო. დღეს წერა-კითხვის საზოგადოება არა მარტო ეროვნული, ფაქტიურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა. თუ მთავრობამ მას სუბსიდია მისცა, იმ იმედით, რომ სასკოლო წიგნებს დროზე დაამზადებდა. ის მიძინების წესი, რომელიც ეხლა გამგეობაში არსებობს, დიდს ვარაფერს მოგვცემს. სწორედ ამიტომაც ამ ორიოდე სტრიქონით მსურს გავაფრთხილო საზოგადოება და მისი გამგეობა, უსაყვედურო ამ უკანასკნელს დაუდევრობა და მავნე სიზანტე.

**პეტრე სურგულაძე.**

## აჭარლების მემორანდუმი

ბათუმის გაზეთი „ისლამ გურჯისტანი" (სამაჰმადიანო საქართველო") იტყობინება, რომ ბათუმის ქართულ მისსიამ ამერიკის გამომძიებელ კომისსიას, დოქტორ გრეინს, ქართველ მაჰმადიანთა სახელით გადასცა მემორანდუმი, რომელშიაც მოთხოვნილია მათი ეროვნული მოთხოვნილებანი.

## ქართველ ტყვეების ჩამოსვლა ფოთში

(საკ. კორესპ.)

ფოთიდან გვატყობინებენ რომ 27 მარიამობისთვეს აქ მოვიდა გერმანიის გემი „ქრისტიანია" რომელმაც მოიყვანა 2,000 სამდე ტყვე ქართველი და დიდ-ძალი გერმანული საქონელი

## სამაჰმადიანო საქართველოში

(საკ. კორესპ.)

ბათომიდან გვატყობინებენ რომ დღეს 29 მარიამობისთვეს იქ იხსნება სამუსლიმანო საქართველოს ყველა ოლქის კომიტეტების ყრილობა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროგრამა და პლატფორმა საქართველოსთან შეერთების შესახებ.

## ნეიტრალურ ზონაში

ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონის კომისარი ალ. ლორთქიფანიძე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს რომ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა ძარცვა გლეჯა ნეიტრალურ ზონაზე მცხოვრებ სომხეთა მიერ. უფრო მეტად დაზარალებულ არიან სოფ. ანპატის მცხოვრებნი.

## ბოლშევიკური სტამბების დახურვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის უფროსმა ბ. კედიამ მინისტრის ამხანაგის განკარგულებით დახურა სტამბები „პროგრესი" (ლორის-მელიქოვის ქუჩაზე) „ისკუსტვო" (ველიამინის ქუჩა) და სწრაფლ-მბეჭდი მატინიანცისა მადათოვის კუნძულზე. ყველა ამ სტამბებში ბოლშევიკური პროკლამაციები იბეჭდებოდა. პირველ ორ სტამბების პატრონნი დაპატიმრებულ იქმნენ. აგრეთვე დააპატიმრეს ბოლშევიკი ასოთ-ამწყობნი.

## მისტერ ოლივერ უორდროპის ჩამოსვლა

ოფიციალურად მიღებული ცნობით, ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში მისტერ ოლივერ უორდროპს და ბრიტანეთის პოლიტიკურ მისიას გუშინ ხუთშაბათს, 28 მარიამობისთვეს ბათომში მოელოდნენ.

მისტერ უორდროპის შესახვედრად ოთხშაბათს, 27 მარიამობისთვეს ბათომში საგანგებო მატარებლით გაემგზავრა საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ბ-ნი მ. ლორთქიფანიძე.

## ბრიტანეთის ჯარის ამიერ-კავკასიაში დარჩენისათვის

სარწმუნო წყაროების მიხედვით, საზავო კონფერენციის უმაღლეს კომისარს ამიერ-კავკასიაში პოლკოვნიკ ჰასკელს დეპეშით მოუთხოვია პარიზის კონფერენციისაგან, რომ ბრიტანეთის ჯარის ნაწილი მაინც აუცილებლად დასტოვონ ამიერ კავკასიაში ხსენებულ რესპუბლიკებისათვის მშვიდობიანობისა და წესიერების უზრუნველსაყოფად.

## ოლივერ უორდროპი

(ჩამოსვლის გამო)

უორდროპის ოჯახი თავის გვარეულობაში ერთად ერთია. თვით ოლივერ უორდროპმა ხანგრძლივი შრომით შეისწავლა ბალკანეთის ნახევარი კუნძულის, მცირე აზიის ქვეყნები და ამიერ-კავკასია. კერძოდ საქართველოსთან მისი დამოკიდებულება იწყება ოთხმოციან წლებიდან, როცა საქართველოს ისტორიიდან რამოდენიმე ნაშრომი დასწერა. მასვე ეკუთვნის წიგნი „საქართველოს სამეფო", რომელმაც თავის დროზე დიდი აურზაური ასტეხა. მისმა დამ მარჯორმა, რომელიც 1909 წ. ქ. ბუქარესტში გარდაიცვალა, ინგლისურ ენაზედ სთარგმნა „ვეფხის ტყაოსანი" და შემდეგ „ვისრამიანი". მის „ვეფხის ტყაოსნის" თარგმანს ინგლისის სამეფო აზიურ საზოგადოებამ 1912 წ. პრემია მიუსაჯა. განსვენებუ-

# უკანასკნელი ცნობები

დღეს თბილისში ჩამოვა ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ამიერ კავკასიაში ოლივერ უორდროპი.

პოლონეთმა გადასწყვიტა საქართველოში ოფიციალური ელჩი გამოჰგზავნოს.

ვენიდან მოელიან მაკენზენის ჯარის პირველ ეშალონს, რომელსაც დანარჩენიც მიჰყვება,

ფრანკფურტის იარმუკა მარიამობისთვის დამლევს და სექტემბრის დამდეგს დაიწყება.

დასავლეთის ფრონტზე ბოლშევიკებმა სადგ. სტრუგი აიღეს.

მარიამობისთვის 26-ს ბოლშევიკებმა პსკოვი აიღეს.

აღმოსავლეთის მიმართულებით საბჭოთა ჯარი უტევს.

გერმანელ ტყვეთა სამშობლოში დაბრუნება ინგლისიდან მარიამობისთვის 30-ს დაიწყება.

ლის გულმოდგინეობით არის დაარსებული ფონდი ოქსფორდის უნივერსიტეტში ქართულ ენის კათედრის დასაარსებლად. მან სულ მოკლე ხანში შეისწავლა ქართული ენა და ქართველ მწერლებთან მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული.

თვით მისტერ უორდროპს არა ნაკლებ უყვარს საქართველო. იგი სასტიკად ებრძოდა საქართველოს მიკერძოებულ მოწინააღმდეგეთ პარიზსა, ლონდონსა და ნიუიორკში, სადაც ათასგვარი შეუსაბამი ცილისწამება და ჭორი ვრცელდებოდა ჩვენს შესახებ. ან ვის არ ახსოვს მისი გამოსვლა ლორდ ბრაისის ძალაუნებურ ინსინუაციების წინააღმდეგ, რომელსაც შემდეგ ასე ნანობდა განთქმული სომეხთა ჩემპიონი.

მისტერ უორდროპმა სხვათა შორის სთარგმნა „მოქცევა ქართლისა“.

## ქრონიკა

ამ კვირიდან ჩვენს გაზეთში შემოღებული იქნება ორკვირეული ფელეტონი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. რედაქცია ეცდება საზოგადოებას მიაწოდოს მხატვრული ქრონიკა როგორც ქართულ, ისე უცხო მწერლებისა და ხელოვნების შესახებ. თანამშრომელათ მოწვეულნი არიან ცნობილნი მწერლები და მხატვრები. რედაქციას საგანგებო ხელმძღვანელი ჰყავს ამ განყოფილებისთვის.

**კვირას 31 აგვისტოს** დაიბეჭდება გრიგოლ რობაქიძის წერილი ლირიკის პრობლემაზე.

**მთიელთა კონფერენცია ვუშინ,** სასტუმრო „ევროპაში“ დღის პირველ საათზე შესდგა პირველი სხდომა მთიელთა კონფერენციისა. ახმედ ზალიკოვის თავმჯდომარეობით.

**დახმარება ალაგირელ ლტოლვილებს.** სიღნაღის სამაზრო ერობამ ვრცელი მოხსენება წარმოუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს, ალაზნის გაღმა დასახლებულ ალაგირელ ლტოლვილებას უმწეო მდგომარეობის შესახებ, რომელთაც სასწრაფო დახმარება ესაჭიროებათ სათესლე ხორბლით ან ფულით. ვინაიდან სიღნაღის საერობო გამგეობას არა აქვს შეძლება გაუწიოს მათ შესაფერი დახმარება საერობო გამგეობა სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, აღმოუჩინოს დახმარება ან ხორბლით ან ფულით იმ ხუთ-მილიონიან თანხიდან, რომელიც დამფუძნებელ კრებამ გადასდო გადასახლებულ მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

**მესხეთ-ჯავახეთის** დამხმარე კომიტეტი თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის რწმუნებულის მოხსენების მოქმედებს ნაყოფიერად სავსებით და სამართლიანად უძღვება დახმარების საქმეს განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

**დამატებითი არჩევნები.** დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ ყველა მაზრებიდან მიიღო დამატებითი არჩევნების ცნობები არ მიუღია მხოლოთ სვანეთისა და ლეჩხუმის მაზრიდან.

**გაყიდული ქალი.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში მოიყვანეს 17 წლის ქალი ოლღა ივანოვი რომელიც ჩეჩნეთში უყიდნია (1200 მ.) ოსმალეთის ქვეშევრდომს მამედ-მამედოვს და ოსმალეთში მიჰყავდა. ჩვენმა სანაპირო დარაჯებმა დააპატიმრეს მამედოვი, წაართვეს ქალი და ორივენი თბილისში ჩამოიყვანეს.

**ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ივ. გომელაურის მიერ შედგენილი და „სორაპნის“ გამოცემული სკოლაში შესასწავლი „ქართველი მწერლები“ წიგნი შეიცავს 270 გვერდს და უყდოთ ღირს 40 მანეთი.

**ხოლერა.** 23 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა ზუარუდ ვართანოვა, (ლტოლვილი).

— 25 აგვისტოს ავად გახდა აბანოს ქუჩაზე მცხოვრები მაია ლასტოვსკისა.

**პოლონეთის წარმომადგენლად** გაგრის ოლქში დაინიშნა ბ-ნი ცესლა სვიხოვსკი.

**ყაჩაღის შეპყრობა.** შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშითატყობინებენ, რომ გუდაუთში შეუპყრიათ ცნობილი ყაჩაღი კაკი დადიანი.

**განთავისუფლება** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით განთავისუფლებულ იქნა 3 თვით დაპატიმრებული ვასილ კობეზზვი, რომელსაც ბრალდებოდა სიტყვით შეურაცყოფა რესპუბლიკის ერთ ერთ დაწესებულებისა.

**დაწესებულებათა გადატანა.** შინაგან საქმეთა მინისტრმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა მოხსენება ბორჩალოს მაზრის სახელმწიფო დაწესებულებათა ქ. შულავრიდან ეკატერინენფელდში გადატანის და ეკატერინენფელდის სამაზრო ცენტრის აღიარების შესახებ, ვინაიდან ქ. შულავერი გეოგრაფიულად არ შეადგენს ბორჩალოს მაზრის ცენტრს.

**მილიცია და მაზრის კომისარი** ახალსენაკის მილიციის უფროსი შავდია დეპეშით ატყობინებს ადმინისტრაციის ინსპექტორს რომ სენაკის საბჭომ დაადგინა ქალაქის მილიცია დაუქვემდებაროს მაზრის კომისარს ქალაქის მილიციის უფროსის თანამდებობის გაუქმებით, ხარჯების შემცირების მიზნით. მილიციის უფროსი სთხოვს განმარტებას თუ რამდენათ კანონიერია ეს დადგენილება

### იუსტიციის სამინისტროში

**ფოთის ნავთსადგურის უფროსისა და ბუღალტერის საქმე.** ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი, აცნობებს იუსტიციის მინისტრს, რომ ქუთ. საგანგებო სასამართლოს განაჩენით ფოთის ნავთსადგურის ყოფილი უფროსი გ. დვალიშვილი და იმავე ნავთსადგურის უფროსი ბუღალტერი იპ. გაბესკირი, ცნობილი არიან დამნაშავეთა და მისჯილი აქვთ: პირველს 6 თვის ციხე, მეორეს კი 3 თვისა.

**აჯამეთის ტყეში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ.** იმავე ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი პროკურორი იუსტიციის სამინისტროს აცნობებს, რომ ქუთ. საგანგებო სასამართლოს განაჩენით აჯამეთ-ვარციხის ტყის მასალის დამამზადებელ კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი—ა. როსტოვცევი ცნობილია უდანაშაულოთ და გამართლებულია იმავე კომისიის წევრები კი მეტყევე—ლომინაძე და ტეხნიკოსი ნ. მალეჩკინი დამნაშავეთ იქმნენ ცნობილნი და მიესაჯათ სამ-სამი თვით ციხეში დიმწყვდევა

### მიწათ მოქმედების სამინისტროში

**მცირე საბჭო** მიწათ-მოქმედების სამინისტროში დაარსდა მცირე საბჭო სამი სპეციალისტისაგან შემდგარი. ეს საბჭო ყველა განყოფილებათა გამგეთაგან იღებს მოხსენებებს და მცირე საბჭოში განხილვის შემდეგ ეს მინისტრს მოხსენდება.

**ღვინის გაყიდვა ბითუმად.** მიწათ-მოქ. სამინისტრომ შესწყვიტა თვის საწყობებიდან ღვინოს ერთ ორ ვედროზე მეტს არ აძლევენ მყიდველს. სამინისტრომ დააწესა ვედრო ღვინოზე 300 მანეთი.

**ბიუჯეტის დამტკიცება.** მიწადმოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ნაწილმა დაამტკიცა ყარაიის სახელმწიფო მამულის ბიუჯეტი 1 მკათათვის 1919 წლ. 1 თიბათვის 1820 წ. თანახმათ ბიუჯეტისა ბოსტნის დასამუშავებლად წინანდელი კრედიტი 45000 მ. გაუდიდდა 108,000 მ.

**პაპის ლეგატი.** რომის პაპის ლეგატის დელფიუშის შესახვედრად შემდგარ კომიტეტმა დეპეშით აცნობა ბათომის კომიტეტს აცნობოს უმალ კომიტეტს როდესაც ლეგატი ბათომში ჩამობრძანდება.

### ბოროტ-მოქმედებანი

**თვითმკვლელობა.** 27 აგვისტოს ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებ ლ. დუკენსკიმ ბაწრით თავი დაიხრჩო. მიზეზი გამოურკვეველია.

**ქურდობა** დესიმონოვის მოედანზე მცხოვრებმა ალიმ ბერნოვმა მილიციაში განაცხადა რომ მისი ბინიდან მოიპარეს რამოდენიმე ათასი მანეთის ნივთები. მილიციამ ეჭვით დააპატიმრა. ჰასან-გუსეინ-გული ოღლი. უკანასკნელი დანაშაულში გამოტყდა.

**დახრჩობა** 27 აგვისტოს ვორონცოვის ხიდთან დაიხრჩო ვიღაც უცნობი 16 წლის ბიჭი.

**ქურდობა 27** აგვისტოს სასტუმრო „ნოეში“ მცხოვრებ ვაჩეიშვილმა მილიციაში განაცხადა, რომ მისი ოთახიდან 70,000 მანეთის სხ. და სხ. ნივთები და ფული მოიპარეს.

—

### შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომრის მეორე პრესაში დაბეჭდილია: „რევოლიუციის გასაღრმავებლად და გასაფრთხილებლად“; უნდა იყოს: „გასაღრმავებლად და გასაფართოებლად.

## პროვინციის ცხოვრება

**სოფ. ზედა-იღემი.**

შაბათს, 30 აგვისტოს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა სოფ. ზედაილემის სკოლის და სამკითხველოს სასარგებლოდ.

## გადასახადი სოფელზე

გაზ. „ერთობა“ თავის მეთაურში ეხება სოფელზე გაწერილ გადასახადებს და, რომ სოფლელების გულისწყრომა, ამ გადასახადებით გამოწვეული, მოაღბოს, შორიდან იწყებს. აღნიშნავს, ქალაქების „მდიდარი“ ხალხი, ვაჭრობა წელში გავსწყვიტეთ, იმდენი გადასახადი შევაწერეთო, და რა იქნება სოფელმა სულ ცოტაოდენი, ამ გადასახადის მესედი, იკისროსო. რომ ხალხში ნდობა მოიპოვა და გაბატონებულიყო, სოციალ-დემოკრატიამ გლეხებს ყურები გამოუჭედა. ყველაფერი უფასოდ და უფასოდ მოგეცემათ: ბინა, სწავლა-განათლება, გადასახადები კი მარტო მდიდრებს გადაბდებაო მაგრამ, როცა ეს პარტია სახელმწიფოს სათავეში მოექცა, იგრძნო სინამდვილის ძალა და იძულებული შეიქნა დასდგომოდა ძველსა და მუდამ ახალ გზას, რომ ხალხისგან მოეთხოვა სახელმწიფოს ყოველგვარი საჭიროების დამაკმაყოფილებელი მსხვერპლი და ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში; ხალხს პირდები შენ არაფერს გადაიხდი, პირიქით, სახელმწიფო ვალდებულია თითონ გაძლიოს ყველაფერი უფასოთ და დაიცვას შენი უფლებებიო, და უცბად დაპირებას ივიწყებ და დიდი გადასახადებით ბეგრავ მას. სოფლელს არ დაავიწყდება დაპირებანი, ის ფიქრობს, ეს დაპირებანი გაინაღდოს და ვაი შენი ბრალი, თუ მოტყუებული დარჩა! ამიტომ არის სოფელში ხალხს არ ჯერა თუ გადასახადები, „მათმა „გასაბედნიერებელმა“ სოციალ-დემოკრატიამ გაწერა და ეროვნულ დემოკრატებს აბრალებს ამას. „ერთობას“ ეს მის ეს და ფიქრობს თავი იმართლოს. ის სწერს: „შეიძლება საერთოდ ის გადასახადები მძიმე იყოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სახელმწიფო მეტად დავალიანებულია. სამი წელიწადია ის რევოლიუციის ქარ-ცეცხლში ტრიალებს, და დღემდე ხალხიდან ფული არ აუღიაო.“ და კვლავ პირდება ხალხს რომ ეს გადასახადები მარტო წელს იქმნება აკრეფილი, გაისათ იგი არ განმეორდებაო.

ჩვენ მუდამ იმას ვუკიჟინებდით სოციალ დემოკრატებს ნიღაბ ჩამოფარებული ნუ გადიხართ ხალხში და ვურჩევდით ცხოვრებასთან ახლოს დამდგარიყვნენ და ანგარიში გაეწიათ არსებულ პირობებისათვის. სოციალ-დემოკრატები იმკიან იმას, რაც დასთესეს.

**სოფლელი**

## მენშევიზმისა და ბოლშევიზმი

ყოველი მოძღვრება დროთა განმავლობაში ღებულობს რამოდენიმე მიმართულებას, იყოფა სექტებათ: ზოგი დოგმაში პოულობს განსხვავებას და ზოგი ტაქტიკაში, მაგრამ საფუძვლად ყველას ისევ ძირითადი მოძღვრება უდევს. ამ ბედს ვერ ასცდა სოციალისტური მოძღვრებაც და მასაც გაუჩნდნენ სხვა და სხვა სექტები, მაგრამ ისინი არსებითად ერთნი არიან, ერთმანეთთან ახლო სდგანან, როგორც, მაგალითად, კათოლიკე და მართლმადიდებელი უფრო ახლოა ერთმანეთთან, ვიდრე კათოლიკე და მუსულმანი, ანუ მუსულმანი და მართლმადიდებელი.

სოციალისტურ სექტებ შორის დიდი, ხელჩართული ბრძოლაა. მენშევიკები ებრძვიან ბოლშევიკებს, ბოლშევიკები ესერებს და ასე ამნაირად— ყველა ერთმანეთს.

ბრძოლის საგანი უბრალო, წვრილმანია.

ბრძოლის ველი კი საწყალი ხალხის ზურგია—მათი ყუმბარებით დათხრილდასერილი.

მაგრამ მათი ბრძოლა რაღაც თვალთმაქცურია, მენშევიკები აკეთებენ იმას, რისთვისაც ბოლშევიკებს ებრძვიან, მხოლოდ ნელ-ნელა, სხვა სოუსით და სხვა სახელით.

იგივე „სოვნარკომი“, იგივე „სოვდეპი“...

— მუშათა საბჭო, კოლექტივი...

რაშია განსხვავება? არსებითად არაფერში.

ჩვენმა მენშევიკებმა ხელი მოჰკიდეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენებას, მაგრამ ამავე დროს სოციალიზმსაც ვერ ღალატობენ.

შეფუცულნი არიან!...

იმისათვის უხდებათ მათ ორ სკამზე ჯდომა და არც ერთზე მაგრათ არ სხდიან.

შემოიღეს ერობა, ქალაქის თვითმართველობა, მათი ხმოსანთა საბჭოებითა და გამგეობებით. ესენი არიან ოფიციალური, პასუხისმგებელი ადგილობრივი დაწესებულებანი, სადაც ყველა მიმართულებას ჰყავს თავისი წარმომადგენელი, არჩეული ოთხფორმულიანი და პროპორციული არჩევნებით და რომელთაც მცხოვრებლებმა ჩააბარეს თავიანთი ბედ-იღბალი. აქ პიროვნებას და მის მიმართულებამოქმედებას საზოგადოება თვალ-ყურს ადევნებს, კრიტიკას უკეთებს და ბოლოს თავისი მსჯავრიც გამოაქვს.

მაგრამ სინამდვილეში ეს ყველაფერი ფიქციაა.

რისთვის? იმისთვის, რომ პარალელურათ არსებობენ იგივე „სოვდეპიები“, იგივე „სოვნარკომები“—მუშათა საბჭოები, კოლექტივები. მათი შემადგენლობა არავინ იცის; მათ არჩევაში საზოგადოების ყველა ნაწილი არ ღებულობდა მონაწილეობას; მათი სხდომები დახურულ კრებებში ხდება: მათი დადგენილება ცალ-მხრივია და უაპელაციო. საზოგადოებამ მათზე არაფერი იცის და კრიტიკის გარეშე რჩებიან.

ყოველი კითხვა წინდაწინ ირჩევა კოლექტივში და იქ მიღებული რეზოლიუცია უცვლელათ ტარდება ქალაქის საბჭოში.

გამოდის. რომ ქალაქის საბჭო არალეგალური დადგენილების დამკანონებელია მხოლოდ.

ეს ცხადი უარყოფაა ოფიციალური დაწესებულებისა და ამ დროს რისთვის იხარჯება მათი შესანახათ უამრავი ფულები?..

ამ კოლექტივებში სწყდება ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხასიათის საკითხები.

მაგალითად, ზესტაფონის ქუჩებზე ნახავთ გაკრულ განცხადებას: ამა და ამ დღეს დანიშნულია კოლექტივის კრება: განსახილველია საკითხი ქალაქში აგრარულ რეფორმის შემოღების შესახებ.

ეს საკითხი ოთხი თუ ხუთი თვის წინათ ირჩეოდა ქალაქის ხმოსანთა საბჭოში და გადაეცა საბჭოდან არჩეულ კომისიას, რომელსაც ჯერ კიდევ ამაზე მსჯელობაც არ ჰქონია მაშინ, როდესაც საკითხი უკვე სწყდება კოლექტივში.

კოლექტივს თუმცა ჯერ არ გამოუტანია თავისი რეზოლიუცია, მაგრამ მისი შინაარსი, როგორც დანამდვილებით ამბობენ, ასეთი იქნება: „ზესტაფონის მეურნეებს ჩამოერთვას მიწები და გადაეცეს შორაპნის მუშებს, რადგანაც მათ ჯამაგირი არ ჰყოფნისთ“.

შემდეგ, რა თქმა უნდა, გადავლენ მორიგ საკითხზე!...

ეს რეზოლიუცია გატარდება ქალაქის საბჭოშიც. ხომ თითებზეა საქმე?

მაგრამ იცოდენ, რომ ქალაქის მცხოვრებნი ამ თითების ამპუტაციას მოახდენენ და ვაი თუ ოპერაციამ ცუდი შედეგები მიიღოს!...

ამის შემდეგ რაღა საჭიროა მენშევიკებმა ატარონ ცალკე სახელი.

**მ. გვალია.**

## აზერბაიჯანი

**ბინების რეკვიზიციის აკრძალვა.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ ბრძანება გასცა, სანამ საგანგებო კანონი არ გამოიცემა ამ საკითხის გამო: ყოველგვარი რეკვიზიციები ბინებისა შეჩერებულ იქმნას.

**სულთანოვის ჩასვლა ბაქოში.** მარიამობისთვის 26-ს ბაქოში ჩავიდა ყარაბაღის გენერალ გუბერნატორი ექ. სულთანოვი.

**„ბაკინსკაია ჟიზნის“ რედაქციაში.** „ბაკინსკაია ჟიზნის“ რედაქტორმა ბაქოს გუბერნატორს წარუდგინა განცხადება, რომ რედაქტორობას ამიერიდან უთმობს ალექსანდრე იოსების ძე ნიკიტინს. ამავე დროს შემოვიდა განცხადება თვით ნიკიტინისგან, რომ ამიერიდან იგი კისრულობს პასუხისგებას გაზეთისას.

ალ. ნიკიტინს თბილისის მკითხველები კარგად იცნობენ. შარშან იგი გრუზიაში სწერდა წერილებს ა. ჩორნის ფსევდონიმით.

**ს ა ლ ი ა ნ შ ი.**

გენ. სელიმოვმა, აზერბაიჯანის ჯარის უფროსმა მუღანში, ჩაიბარა მუღანელთა რაზმებისაგან ახალი სისტემის 16 ზარბაზანი და 22 ტყვიის მფრქვეველი მრავალი სამხედრო მასალით.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

**მუსტაფა ქემალ-ფაშა.**

ოსმალეთის სომხეთის ვილაეთებში აჯანყების ბელადი არზრუმში მთავრობის წინააღმდეგ კონგრესსის მომწყობი მუსტაფა ქემალ-ფაშა სტამბოლის მთავრობის დადგენილებით გადაუყენებიათ სამხედრო სამსახურიდან აუყრიათ ორდენები და საპატიო ადიუტანტის წოდება. ამ დადგენილებას კავშირი აქვს მოკავშირეთა მოთხოვნილებასთან, რომელიც მოითხოვდა მუსტაფა ქემალ-ფაშის და რეუფ-ბეის დაპატიმრებას. („ისლ. გურჯ.“)

## მწვანე არმიელთა თავდასხმა თუაფსეზე

როგორც „ბორბა“ იუწყება, რომ ამ დღეებში მწვანე არმიელთა რაზმები, რომლებიც შავი ზღვის ხანაპიროებზე მრავლად მოიპოვება, თავს დაესხნენ თუაფსეს და დიდი დავლა გაიტაცეს.

თუაფსეში იდგა მნიშვნელოვანი ოფიცერთა რაზმი და რამდენიმე ასეული ადგილობრივ გლეხთაგან შედგენილი. თავდასხმის რამდენიმე დღით წინ ოფიცერთა რაზმი გაჰგზავნეს ჩრდილოეთის ფრონტზე რაზმების შესავსებად. ეს ისარგებლეს მწვანე არმიელებმა და ქალაქს გარს შემოერტყნენ დიდძალი ურმებით და მცირე სროლის შემდეგ ქალაქში შევიდნენ.

როგორც შემდეგ გამოირკვა თავდასხმის გეგმა წინადვე ყოფილა მოფიქრებული. მწვანე არმიის ურმების ერთი ნაწილი სასურსათო საწყობებისაკენ გაემართა და მეორე კი საარტილერიო, სადაც ტყვია წამალი ინახებოდა.

რაკი დატვირთეს ტყვია-წამლით სურსათით და ტანსაცმელით ურმები მწვანე არმიელებმა ქალაქი წყნარად მიატოვეს.

არავითარ კერძო სახლების ძარცვა გლეჯას ადგილი არა ჰქონია. შიში, რომელიც მწვანე არმიელების თავდასხმამ გამოიწვია მცხოვრებლებში, მათი ასე მშვიდობიანად მოქცევის შემდეგ გაჰქრა.

შავი ზღვის სანაპირო რკ. გზაზე კი მოსვლა შეწყვეტილია, რადგან თუაფსე—სოჭის შორის გზა ჩამოინგრა.

## გერმანია და კოლჩაკი

„მიუნხენის სალამოს ქვეყანაში“ იუწყება, რომ ბერლინში არსებობს ოფიციოზური ორგანიზაცია, რომელიც ამირალ კოლჩაკის წარმომადგენლობას ასრულებს. ეს ორგანიზაცია გერმანიის საგანგებო საქმეთა სამინისტრომ იცნო.

(„ბ“)

## კრასნოვოდსკი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კრასნოვოდსკის საელჩო, მთელი თავისი შემადგენლობით გემ „თურქმენია“ ბაქოში ჩამოვიდა. კასპის იმიერ ჯარის სამხედრო მდგომარეობა მეტად უიმედოა. კასპის ჯარების მთავარ სარდლად ხელ-ახლად დანიშნულია გენ. ბეროვსკი, გაეცნო ფრონტის მდგომარეობას და სასწრაფოდ პეტროვსკით მოხალისეთა ჯარის მთავარ შტაბში გაემგზავრა [illegible] კრასნოვოდსკს ამ დღეებში მაშველი ჯარი არ მიუვა, მისი ბედი ჩქარა გადაწყდება.

ყიზილ არვატის მდგომარეობაც მეტად სახიფათოა. შესაძლებელია რომ ბოლშევიკებმა ზურგში მოუარონ. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ მთელი ჯარი, რომელიც ყიზილ-არვატსა და და ასხაბადს შორის არის განრიგებული, შესაძლებელია გარ შემორტყმული აღმოჩნდეს და კისლოვოდსკამდე ვერც კი მიაღწიოს.

## ჯავშნიანი „ტერეცი“ თუაფსეში

როგორც დღევანდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებული ცნობიდან სჩანს თუაფსეზე მწვანე არმიელთა თავდასხმის დროს იქ არ ყოფილა მოხალისეთა საკმაო ძალა, მდგომარეობის აღსადგენად მოხალისეებმა თუაფსეში გაჰგზავნეს ჯავშნიანი მატარებელი „ტერეცი“ რომელმაც უსაქმოდ დაჰყო თუაფსეში რამდენიმე დღე. სოჭისაკენ მატარებელი ვერ წავიდა, რადგან გზა იყო გაფუჭებული. გუშინდელი „აზერბაიჯანი“ ამის შესახებ იუწყება „პეტროვსკზე დარუბანდში გაემგზავრა ჯავშნოსანმა „ტერეცი“ რომელმაც მოსპო ანარქია თუაფსეშიო“

თუაფსედან პეტროვსკში ჩასვლას ჯავშნოსანი 3 დღეს მოსდომებია.

## ბრიტანეთის ჯარის დაბრუნება

(ინგ. მის. ცნობა)

ლონდონიდან იუწყებიან, რომ კელნიდინ მოსულ ცნობებით ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარი სწრაფად მცირდება რამდენიმე ხანში ინგლისის ყველა დივიზიები სამშობლოში დაბრუნდება. სამხედრო მთავრობამ ჯარისკაცებს ნება დართო მინდვრის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე.

## თემთა პალატაში

(ინგ. მის. ცნობა)

როგორც ლონდონიდან იუწყებიან თემთა პალატის უკანასკნელ სხდომაზე ლოიდ ჯორჯმა ილაპარაკა ინგლისის ვაჭრობა მრეწველობის მდგომარეობაზე. მან განაცხადა, რომ ომი ეს მსოფლიოს უღირს 40.000 მილიონი სტერლინგიო. შემდეგ სთქვა, რომ ყველგან ემჩნევა მრეწველობის და ექსპორტის დაცემა, გარდა მიწად მოქმედებისა ჩვენ ვხარჯავდით მეტს, ვიდრე ვქმნითო.

ამის უმთავრეს მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის სიძნელეს, რომელიც გამოწვეულია დიდი ომის უცაბედ გარდატეხით. პრემიერმა განაცხადა რომ შეერთებული სამრეწველო საბჭო შეთანხმდა მუშათა სამუშაო დღეზე და ხელფასზე—ეს შეთანხმება გამოხატული იქნება ბილლში. ბილლში სამუშაო საათებად ცნობილია 48 საათი კვირაში.

## გენ. დენიკინზე

ტრაპიზონის ოსმალური გაზეთი „სილამეთი“ სარწმუნო წყაროებიდან იუწყება, რომ გენერალ დენიკინის ჯარმა უნდა დაიჭირონ რუსეთ ოსმალეთის ძველი საზღვარი და ორ მოკავშირეებმა ბათუმის ოლქი მოხალისეებს უნდა გადასცენო.

## დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 27.

### ინგლისური პრესა

**მონარქიზმის შესაძლებლობა უნგრეთში.**

ვენიდან მოსულ ცნობების თანახმად ჰუნგრეთის კაბინეტის წევრებმა ნება არ დართეს ერც-ჰეროგის გადაყენებისა. მთავრობა მონარქიზმის სასარგებლო შედეგებს მოელის ამომრჩევლებზე მოხდენილ ძალდატანების გამო, ჰუნგრეთის სოც. დემოკრატები უკმაყოფილებას აცხადებენ და არჩევნებს კანონიერად არ სცნობენ ასეთ პირობებში, უნდოსლობა გამოიწვია აგრეთვე გრაფ იულიუს ანდრაშის პოლიტიკურმა მოღვაწეობამ, რადგან ის მონარქიის აღდგენას ისახავს მიზნად.

**სილეზია წყნარდება.**

გერმანიის მთავრობის პასუხის-მგებელმა წარმომადგენელმა სილეზიაში ხერსინგმა პრესის წარმომადგენელს შემდეგი განუცხადა. „უკანასკნელი ცნობები დამაკმაყოფილებელია. თანდათან სიწყნარე და წესიერება მყარდება. მუშები გონს მოვიდნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკელების შიში დაჰკარგეს. თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა. ამ კვირის ბოლოში მუშები ყოველგან განაახლებენ მუშაობას. ხერსონგი ირწმუნება, რომ მღელვარება სპარტაკელებმა გამოიწვიეს და მხოლოდ შემდეგ მიიღო მან ნაციონალისტური ელფერი, რასაც ამტკიცებს სილეზიაში პოლონელთა ფარულ ორგანიზაციების შესახებ აღმოჩენილი საბუთები. უშედეგოა აგრეთვე ის შიში და შფოთვა, რომელიც გერმანია-პოლონეთის საკითხის გარშემო აღმოცენდა.

**პოლონეთის ჯარის წინსვლა.**

ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის ჯარმა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მდ. ბერეზინას მიაღწია და მდ. სვისლოჩის ხაზამდე მივიდა. მოწინააღმდეგეს ტარტაროვისკენ დაახევინეს.

**პოლონელთა ელჩები**

ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტა დიპლომატიური წარმომადგენლები დანიშნოს რუსეთის ყველა მთავრობებთან, გარდა ბოლშევიკებისა, და აგრეთვე ძველი რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოებში. კოლჩაკთან და დენიკინთან გაგზავნილ წარმომადგენლებს რწმუნებულთა სახელი ეწოდება. საგარეო საქმეთა მინისტრი გაგზავნის წარმომადგენლებს საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ესტლანდიაში და ლატვიაში.

**მატარებლის გადავარდნა**

პარიზიდან იუწყებიან, რომ სადგურ პონსა და ორლეს შუა, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში ლიანდაგიდან გადავარდა ლუვრიდან ბორდოში მიმავალი სწრაფი მატარებელი. მოკლულია 7 მგზავრი, 15-მდე დაიჭრა.

**გენ. ბუადეფრას გარდაცვალება**

გაზეთების ცნობით, გარდაიცვალა გენ. ბუადეფრა, რომელიც 1890—1899 წ. რუსეთში იყო გაგზავნილი და მომზადა და შეიმუშავა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის პირობები.

**ფრანგი და რუსი „ბოი-სკაუტები"**

საფრანგეთის „ბოი-სკაუტების" კავშირს ბოლშევიკების ხელში მყოფ რუსის „ბოი-სკაუტებისაგან" მოუვიდა წერილი, რომელშიაც სთხოვენ, არ მიატოვონ ისინი. წერილი კლემანსოს გადაეცა.

## გერმანული პრესა.

**დემოკრატიზმი გერმანიაში.**

(დასაწყისი არ არის მიღებული). გამოირკვა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის სოციალისტური პარტია ერთი კლასის ბატონობის მოსპობისა და დემოკრატიულ პრინციპების მომხრეა. ბრაუნგშვეიგსა, ბრემენსა, მიუნქენსა, უნგრეთსა და ბოლოს რუსეთში მოხდენილი საბჭოთა რესპუბლიკის ცდა გვასწავლის, რომ სოციალისტურ იდეების განხორციელება შეიძლება მხოლოდ დემოკრატიზმის დამყარებით და პროლეტარიატის განთავისუფლებით. ისეთი ცდა არ უნდა მოხდეს, რომელსაც რეაქცია მოსდევს, როგორც ეს ჰუნგრეთში იყო.

**მაკენზენის ჯარი.**

ვენიდან მოელიან გენ. მაკენზენის ჯარის პირველ ტრანსპორტს, რომელსაც დანარჩენიც მოყვება.

**პოლონეთის აგენტები.**

ვესტფალიაში ბერლინის პოლიციამ დააპატიმრა 3 კაცი, რომლებიც პოლონეთის მთავრობის აგენტებზე ათასამდე თოფს ჰყიდდენ.

**ფრანკფურტის იარმუკა.**

ფრანკფურტში საერთაშორისო იარმუკა აგვისტოს დამლევს და სექტემბრის დამდეგს შესდგება. ბევრ ნეიტრალურ სახელმწიფოს აქვს განზრახული მასში მონაწილეობის მიღება.

## ბოლშევიკური ცნობები

**ტროცკის სიტყვა.**

**მოსკოვი.** აგვ. 27. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

აგვისტოს 26 მოსკოვის საბჭოს სხდომაზე ტროცკიმ ფრონტებზე სამხედრო მოქმედების შესახებ შემდეგი შინაარსით მოხსენება გააკეთა: „თუ მსოფლიო ომის მონაწილე დიდი იმპერიალისტური ქვეყნები რამდენიმე წლისა და თვის განმავლობაში ქმნიდნენ თავის ჯარს და მხოლოდ შემდეგ დაიწყეს ომი, ჩვენ პირიქით ვიქციოდით. ისტორიამ გვაიძულა ომი დაგვეწყო, ყველა ჩვენ გამარჯვებას და დამარცხებას ამ ძირითად ფაქტთან აქვს კავშირი. შარშან აგვისტოს დასაწყისში მოსკოვიდან წაველი მაშინ ჯერ კიდევ ახალ და გაუმაგრებელ ფრონტებზე. ყაზანთან მაშინ მუშათა და გლეხთა საჩქაროდ შევქმენით ლაშქარი და, როგორც კი შევადგინეთ რამდენიმე რეგულიარული ნაწილი, მაშინვე შეტევაზე გადაველით (გამოტოვებულია.) როდესაც გამოირკვა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს არც ერთი საიმედო და ძლიერი დივიზიის გამოგზავნა არ შეეძლო ჩვენ წინააღმდეგ, ცხადი გახდა, რომ ინგლისელები დენიკინს მიაწვდიდნენ ტყვიას, წამალს და ტანკებს, მაგრამ ვერ მისცემდნენ ვერც ერთ ჯარისკაცებს. უნგრეთის რესპუბლიკა დროებით დაეცა. საბჭოთა უნგრეთი წარმოადგენდა წრე შემოვლებულ რგოლს, რომლის რადიუსი 70—80 ვერსის სიგძისა იყო. გასაოცარია, როგორ უმაგრდებოდა ის მტერს. მაშინ რა არის ის 70 — 80 ვერსი შედარებით იმ რამდენიმე ათას ვერსთან, რომელიც ჩვენ დავიპყრით საბჭოთა რუსეთში და კერძოდ სამხრეთში. საბჭოთა ჰუნგრეთი იმის გამო დაიღუპა, რომ უფრო ადრე შეიქმნა ვიდრე ჩვენ მოვრჩებოდით საქმეს აღმოსავლეთსა და სამხრეთში. მაგრამ ეხლა ამხანაგ ჰუნგრელებს ვეტყვით, „მოიცადეთ ძმებო, მოიცადეთ, თქვენ უფრო ნაკლები დაგვჭირდებათ ლოდინი, ვიდრე ჩვენ". ვიბრუნეთ რა პირი აღმოსავლეთისკენ, აზიის ხალხს ასე უნდა მივმართოთ: „მოიცადეთ, ტანჯულო ძმანო, თქვენ ნაკლები მოგიხდებათ ლოდინი, ვიდრე ჩვენ ვიცდიდით". პეტროგრადის და მოსკოვის მშიერი მუშები რამდენიმე ათი და ასი ათას გმირს გზავნიან აღმოსავლეთსა და სამხრეთში. ეს წითელი ჯარი გამარჯვებას მოგვიპოვებს. მას კაცობრიობისთვის ბედნიერების დროშა მოაქვს.

**კიევი საფრთხეშია.**

**კიევი,** აგვ. 26. კიევის გამაგრებულ რაიონში გამოცხადდა მობილიზაცია 17 წლიდან 50 წლამდე, თხრილებში სამუშაოზე გასასვლელად.

**კიევის გარშემო.**

**კიევი.** აგვ. 26. რევ. სამხედრო საბჭოს წევრმა კომუნისტმა ლაცისმა, სთქვა, მდგომარეობა ფრონტზე მტკიცეა, კიევის რაიონში მტერს გადაწყვეტილათ შევუტევთ და გავანადგურებთ დენიკინის მიერ გაბმულ ქსელსა პეტლიურას წინააღმდეგ ჩვენ გადამწყვეტი ზომები მივიღეთ. ჟიტომირი ჩვენ უკანვე დავიბრუნეთ. დენიკინის შემოტევა მოვიგერიეთ. ღამით აგვ. 25. საგუბერნიო ჩ. კ. ამ 14 ბურჟუა მძევალი დახვრიტა. კორსუნის რაიონი დენიკინის ბრბოებისაგან გავანთავისუფლეთ დავამარცხეთ მტერი, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავდა დიდძალი ქვეითი, და ცხენოსანი ჯარი, ტ ჯავშნიანი მატარებელი მტერს ათას-ორასი კაცი მოუკვდა და ორი ეშელონი მატარებელში დაიწვა. განადგურდა ჯავშნიანი მატარებელი ცხენოსანი ჯარის ესკადრიონით. დენიკინის ჯარი ბობრინსკაიასკენ და ზნამენკისკენ გარბის.

**ელექტრონი სოფლად**

**ნოვგოროდი.** 26. აგვ სოფ. გრუმინოში ქოხები ელექტრონით ნათდება.

**ყაზახთა შორის**

**პენზა.** აგვ. 24. ჩვენ მხარეზე გადმოსულთა სიტყვით, დონის არმიის უფროსის ბრძანებით მოწაფეები და მასწავლებლები დაითხოვეს. ყაზახებს დენიკინის გამარჯვება არა სჯერათ.

**ბაშკირთა სახ. კომიტეტი**

**სტერლიტამაკი.** აგვ. 24. იუწყებიან ყველას საყურადღებოდ, რომ ბაშკირის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო სარ. კომიტეტი ყველა სახალხო კომიტეტები ამ ჟამად სტერლიტამაკში იმყოფება.

**სამხედრო ცნობა**

**დასავლეთის ფრონტი.** 27 აგვისტო. ლუგის მიმართ ჩვენი შეტევა თან და თან ძლიერდება. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სოფ. და სადგ. სტრუგი და ვლადიმერის ბანაკი აიღო 26 აგვ ჩვენმა ჯარმა პსკოვი აიღო. ხელში ჩაიგდო 2 ტყვიისმფრქვეველი და წამოიყვანა 150 ტყვე. მდ. ველიკაიას დასავლეთით ჩვენი ჯარი სოფ. ჩერნეცოვას ხაზზე გამოვიდა. დვინის რაიონში ჩვენ ტურევი დავსტოვეთ.

**სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.** ვოლინის ნოვგოროდის მიმართ ჩვენი ჯარი მტერს სოკოლოვიდან როგაჩევისკენ სდევნის. დნეპრის მარცხენა მხარეზე პერეია სლავლის მიმართ ჩვენმა ჯარმა მტერი 10 ვერსით უკან დახია.

**სამხრეთის ფრონტი.** სუნჯის მიმართულებით ჩვენ რილსკი დავსტოვეთ. რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, კურსკის მიმართ. ბრძოლას აწარმოებს ბელოგოროდის მიმართ. ჩვენი ჯარი კორენევის ხაზზე გამოვიდა. ჩვენ კუპიანი დავიჭირეთ. პავლოვის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. პავლოვსკთან ბრძოლას აწარმოებს. კალაჩის მიმართულებით ბალაშოვის სამხრეთით ჩვენი შეტევა გრძელდება ბორისოგლების მიმართულებით ბრძოლაა.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ტროიცკის რაიონში ორსკის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. კურგანის რაიონში ჩვენ სადგურ პროსტრევსკაიასთან გამოვედით. რკინის გზის რაიონში მტრის ბატალიონი ორი ტყვიისმფრქვეველით ტყვედ წამოვიყვანეთ. იალუტოვის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება.

**დენიკინის აგენტები ევროპაში.**

**ველიკიე ლუკი.** აგვ. 26. თეთრ ლატიშთა გაზეთ „ტაულას-ბალო"ს ცნობით, რიგაში გუჩკოვი მოვიდა ინგლისის გენერალთან მოსალაპარაკებლად ბოლშევიკებთან წინააღმდეგ ბრძოლის მოსაწყობად, გამოქვეყნდა ბერლინში მყოფ რუსეთის სამხედრო მისიის უფროსის განკარგულება, რომ დენიკინის ბრძანებას თანახმად 7 დღის განმავლობაში გერმანიაში მყოფი რუსი ოფიცრები ექიმები და სამხედრო მოხელეები გამოცხადდნენ სარეგისტრაციოთ და გენ. იუდენიჩთან გასაგზავნად.

**ზემო სილეზიაში**

**ვარშავა** აგვ. 27. ზემო სილეზიიდან გამოქცეულები გადმოგვცემენ, რომ გერმანელები პოლონეთის მცხოვრებთ სასტიკათ ეპყრობიან. აღშფოთებული მცხოვრებლები აჯანყებულებს უერთდებიან გერმანელები იძულებული არიან აიღონ არა თითეული სოფელი, არამედ თითეული სახლი.

**კარნაფონი.** აგვ. 26. უმაღლესმა საბჭომ მიმართა გენ. დიუპონს თხოვნით, აღნიშნოს თუ რამდენი ძალაა საჭირო ზემო სილეზიის დასაპყრობად.

**დეზერტირობა თეთრებში.**

**პენზა.** აგვ. 24. ჩვენ მხარეზე გადმოსულთა სიტყვით, სადგ. ილოვლინსკაიასთან და კაჩალინსკაიას რაიონში 5000 ჯარში გაწვეული აჯანყდა. სებრიაკოვის რაიონში ჯარში გაწვეული გლეხები გაიქცნენ. გაწვეულებს ნოვოჩერკასში ჰგზავნიან, შემდეგ კი დამსჯელი რაზმის თანდასწრებით ფრონტზე.

**გერმანელთა ტყვეები.**

**ნაუენი,** აგვ. 24. პარიზიდან მოსული ცნობით, სერბია-რუმინიის დამოუკიდებულება მოულოდნელად გამწვავდა, იმის გამო, რომ რუმინიის სამინისტრომ საზავო კონფერენციის წინადადებაზე, რომ ბანატს ტემეშვარი ჩამოსცილებოდა, უარი განაცხადა, ინგლისის არმიის სარდლობის ცნობით, ინგლისში მყოფ გერმანელ სამხედრო ტყვეების გერმანიაში გაგზავნა 30 აგვ. დაიწყება.

**პსკოვის აღება.**

**№-ის არმიის შტაბი.** აგვ. 21. 4 საათსა და 30 წუთზე ჩვენი ჯარი ჩრდილოეთის მხრით პსკოვის განაპირა ნაწილში შევიდა. ბრძოლა ქალაქის ქუჩებზე სწარმოებდა. 6 საათსა და 40 წუთზე წითელი ჯარი პსკოვში შევიდა.

**ორენბურგელ ყაზახთა შორის.**

**სამარა.** აგვ. 20. დაჭერილ ადგილების მცხოვრებთა ცნობით, ორენბურგის რაიონში ყაზახები უკან დახევის დროს თავის აფიცრებს ხოცავდენ და და თვით კი გარბოდენ.

**ომის შესაძლებლობა ჩილისა და პერუს შორის.**

უკანასკნელ ცნობებით შესაძლებელია სამხრეთ ამერიკაში ომი მოხდეს ჩილისა და პერუს შორის. სამხედრო მოქმედების დაწყება დღე დღეზეა მოსალოდნელი. პარიზში სამინისტროებს ცნობა მოუვიდათ რომ მოსალოდნელია ახალი საფრთხე, რომელიც როგორც ფიქრობენ მთელ სამხრეთ-ამერიკას მოედება რადგან ორივე სახელმწიფოს მრავალ რიცხოვანი მოკავშირე ყავს ლათინთა რესპუბლიკების შორის.

**მ ე ქ ს ი კ ა შ ი.**

მექსიკაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ყოველ წამს არის მოსალოდნელი დიდი ამბების დატრიალება.

**საფრანგეთის მანდატი მექსიკაზე.**

მანდატების შესახებ ამერიკის სამხედრო წრეების საერთო აზრი ისეთია რომ თუ შეერთებული შტატები რაიმე მანდატის მიღებაზე დასთანხმდა, მაშინ საფრანგეთი პირველი მიიღებს მექსიკის მანდატს რათა მოსპოს ამერიკის ზურგში არეულობის შესაძლებლობა და ევროპის სახელმწიფოებს თავიდან აიცილოს ამ არეულობაში მონაწილეობის მიღება.

გერმანელთა ჰაეროპლანმა პოლონეთ-სილეზიის ფრონტი გადაიარა. იქიდან ტყვიის მფრქვეველი დაუშინეს სასნოვიცას ხიდის ახლო მდგომ ჟანდარმებს. ზოგიერთი ადგილები საბოლოოდ პოლონელების ხელში გადავიდა. აჯანყებულებმა ვარშავაში დელეგაცია გაჰგზავნეს და დახმარება სთხოვეს პოლონეთის მთავრობას.

**ვენის მთავრობა**

ვენიდან მოსული ცნობით, ახალ კოალიციონურ მთავრობაში საზოგადოების ყველა კლასის წარმომადგენელი შევა პარტიულ პოლიტიკის გარეშე.

**ერცჰერცოგის გადადგომა.**

**ნაუენი.** აგვ. 26. უნგრეთის ოფიციალური ცნობის თანახმად, ერცჰერცოგ იოსებმა გამოსცა მანიფესტი, სადაც აცხადებს რომ ის ჰფიქრობს ჰუნგრეთის ხალხი ტანჯვისაგან გაანთავისუფლოს და გამოიყვანოს უკეთეს მომავლის გზაზე. ეხლა კი ის დარწმუნებულია, რომ სამშობლო აღორძინების გზაზეა, და ხალხი თავის ნებით შეჰქმნის თავის მომავალს ამიტომ თავის მისიას დასრულებულად სთვლის და მართვა გამგეობას უთმობს ხალხს.

**ხუვერი ევროპის ეკონომიურ მდგომარეობაზე.**

**ნაუენი,** აგ. 26. ამერიკის სასურსათო დიქტატორი ხუვერი პესიმისტურად უყურებს ევროპის მდგომარეობას, რომელსაც ეკონომიური კატასტროფა მოელის, თუ შრომის ნაყოფიერება არ გაიზარდა.

## იტალიური პრესა

**გენ. პერშონგი**

გენ. პერშონგი ვინჩენეციდან ალტიტიანოში გაემგზავრა, იქიდან ტრიენტიში წავა, 1 არმიის სარდლის ჯიროლდისთვის პერკორის მედალის გადასაცემად. საუზმეზე პერშონგმა იტალიის ჯარი შეაქო, ხვალ პერშინგი წავა მილანში და იქიდან პარიზში.

**საჰაერო მიმოსვლა პარიზსა და ლონდონს შუა.**

მოკლე ხანში წესიერი საჰაერო მიმოსვლა გაიხსნება პარიზსა და ლონდონს შუა. ჰაეროპლანები ამ მანძილს დაახლოვებით 2 საათში გაივლიან.

**იტალიელ ტყვეთა ძეგლი.**

კოპენჰაგენში ძეგლს დაუდგამენ გერმანიის ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებულ დანიაში დაღუპულ 30 იტალიელს.

**თეთრების სიმკაცრე.**

**ვიტებსკი,** აგვ. 25. პსკოვიდან მოსულთა ცნობით, სოფ. გლუბოკოეს დაჭერის დროს თეთრები კომუნისტებს აწამებდნენ. 8 კომუნისტს ენა ამოსჭრეს და შემდეგ დაახრჩვეს.

**სამხედრო ცნობა.** ჩვენმა ჯარმა დნეპრის მარჯვენა მხარეზე ვასილკოვამდე უკან დაიხია. სამხრეთის ფრონტზე ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენ ბრძოლით კოროჩუ, ვოლჩანოვი, და ბუტლინოვკა დავიჭირეთ. კუპიანის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით 30 ვერსით წინ წაიწია. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები ტყვიისმფრქვეველები და სხვა ქონება. წამოვიყვანეთ ტყვეები. კამიშინის რაიონში ჩვენ მტერს ვავიწროვებთ. აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენ შეუჩერებლად წინ მივიწევთ ტროიცკის, კურგანის იალტუროვის და ტობოლის რაიონში.

**ტროცკის სიტყვა**

ცხენოსან ჯარის შტაბის და ყაზახთა მიმართ წარმოთქმულ სიტყვებში ტროცკი ამბობს: „დენიკინის ძალა დაიღუპა. კოლჩაკის დამარცხების შემდეგ ჩვენ ძალას სამხრეთ ფრონტს მოვახმარ. მრავალ რიცხვოვანი ჯარი, ახლო მომავალში დენიკინს სასიკვდილო ლახვარს დასცემს. პირველი შეტევით დაჭერილია კამიშინი და ხარკოვის მიმართ.—ველიკი. ყველა ფრონტზე წითელმა ჯარმა შეტევა დაიწყო. დაჭერილია ბორისოგლები და სად. პოვორინო: ის კარები, საიდანაც მამონტოვის ცხენოსანი ჯარი შემოიჭრა ჩვენი ქვეითა ჯარით დახურულა. ერთ დიდ კედლად სდგას სამხრეთის წითელი ფრონტი ვოლგიდან დნეპრამდე. კავშირი მამონტოვის ცხენოსანსა და უკან დახეულ დენიკინის ჯარის შორის საბოლოოთ გაწყვეტილია.

# საქართველო 1802—1820 წ. წ.

როგორ უნდა შერიგებოდნენ ხევსურები იმ აზრს, რომ მათ ხელიდან გამოსცლოდათ მათი საუკეთესო და საყვარელი სოფ. შატილი, რომელიც შეადგენდა მათ—სიმაგრეს და საუკუნოებითი მოწამე იყო მათი მუდმივი თავისუფლებისა. ამ სოფელს არას დროს არ ენახა თავის ამაყ და დროთა მიერ გარუჯულ კედლებთან არავითარი მტერი.

ხევსურებმა ძალა მოიკრიბეს, ქისტებიც მოიწვიეს, მედგრად დაუხვდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს, ძვირად დაუსვეს მათ ეს ლაშქრობა, მაგრამ თავისუფლებაც შესწირეს.—სამუდამოდ დამარცხდნენ. გამარჯვებულმა და გამხეცებულმა რუსის ჯარმა ძარცვა გლეჯას მიჰყო ხელი, აღარ ინდობდნენ არავის. ხუთი დღეში 8-12 თიბათვემდე 20 სოფელი აიკლეს და ყველაფერი ცეცხლს მისცეს.

„ეს სიმაგრე, ამაყი თავისი მიუვალობით, ბუდე ალექსანდრე ბატონიშვილისა, დაიმხო თქვენის იმპერატორობით უდიდებულესობის ძლევა მოსილ მძიმე იარაღის შემწეობით.

სოფლები ნაცარ-ტუტად ვაქციე და ციხე-კოშკები საფუძვლიანად დავანგრიეო". სწერს გენ. რტიშჩევი თავის მოხსენებაში.

რუსებმა ხევსურეთი აიკლეს მაგრამ, ალექსანდრე კი ვერ იგდეს ხელში. ხევსურებმაც თავისი საყვარელი სამშობლო შესწირეს და ანაცვალეს საყვარელ მეფე ერეკლეს შვილს ალექსანდრე ბატონიშვილს, მაგრამ ის კი არ გასცეს.

ალექსანდრე ხევსურეთიდან ჯერ ქისტეთში გადავიდა და მერე დაღესტანში.

დაღესტანში ალექსანდრე დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ მაინც გული მაგრადა ჰქონდა.

სპარსეთის ტახტის მემკვიდრემ რტიშჩევს სთხოვა ალექსანდრე სპარსეთში გაეშვა. რტიშჩევი დასთანხმდა მხოლოდ იმ პირობით თუ ალექსანდრე განთავისუფლებდა იმ ტყვე აფიცრებსა და ჯარის კაცებს, რომლებიც მას ტყვეთ ჰყავდა წაყვანილი. მოლაპარაკების ვადა ერთი თვე იყო დანიშნული, ალექსანდრე კი პასუხს არ აჩქარებდა.

1816 წ. ღვინობისთვის 12 გენ. რტიშჩევმა სამსახური მიატოვა, მის მაგიერ დანიშნული იქმნა გენერალი ალექ. ერმოლოვი.

1818 წ. მკათათვეში ბატ. ალექსანდრე დაღესტნიდან წამოვიდა. ეს რომ გენ. ერმოლოვმა გაიგო, მთელი ქვეითა და ყაზახთა ჯარი ფეხზე დააყენა და ყველა გზები შეკრა.

ალექსანდრე მცხეთასთან მტკვარზე გამოვიდა მცველი ლეკები უკან დააბრუნა და 12 ქართველით დიდ გზას დაადგა და ახალციხეს გადავიდა.

ამ მხარეზე საყარაულოები ეჭირა დონის ყაზ. პოლკს. ალექსანდრემ გზა არ აუქცია სადარაჯოებს და თითონ მათთან გაიარა შუა დღისას, ებაასებოდა ყაზახ. რუსებს და ისინი კი გონს ვერ მოდიოდენ და არ იცოდნენ თუ მათ წინ ის პირი იდგა, რომლის გულისათვის მათ არა ერთხელ ვაუტარებიათ უძილო ღამეები. ალექსანდრეს გაპარვით ერმოლოვი ჯავრით მოჰკლა და აღარ იცოდა როგორ ემართლებინა თავი. ყაზახის პოლკის უფროსი პოლკ. ტაბუშჩიკოვი, რომლის სახლს წინ გაიარა ალექსანდრემ სამსახურიდან დაითხოვეს და აფიცრები დაატუსაღეს.

ალექსანდრე ახალციხეში 1819 წ. დარჩა. ამ წელს, ერევანში გადავიდა, ერევნის ხანი მას დიდი პატივით. შეხვდა. ასეთივე პატივით მიიღო აბას-მირზამ ალექსანდრე თავრიზში.

1826—28 წ. რუს ოსმალეთის ომის დროს ალექსანდრე და მისი ძმა ვახტანგი ქობულეთში გაჩნდნენ, შემდეგ წლებში ისევ სპარსეთში დაბრუნდნენ.

სპარსეთის მთავრობამ ალექსანდრეს საცხოვრებლად აჩუქა მდიდარი ყარაგალეზის ოლქი, ყარაბაღის ახლო.

ზედმეტმა მუშაობამ გასტეხა ალექსანდრე. ბოლოს გადასახლდა თავრიზში. 1844 წ. ის გარდაიცვალა 73 წლისა. მისი საფლავი ეხლაც არის შახ-აბდულ-ამაზის ჟამში.

მართალი იყო ალექსანდრე თავისი მოქმედებით. ადრევე ჰქონდა გათვალისწინებული ის საშინელება რომელსაც უმზადებდნენ მის საყვარელ სამშობლოს რუსები და ამისათვის შეალია თავისი სიცოცხლე საქართველოს განთავისუფლებას. პეტერბურგში ფუფუნებასა და მეფურ ცხოვრებას მან ტყე-მინდვრად სიარული და შიმშილ-წყურვილი არჩია. შეგნებული ნაწილი ქართველებისა დიდათ აფასებდა ალექსანდრეს თავგანწირულებას.

**მარიამ დედოფალი**

რუსების სულის ჩამდგმელმა და საქართველოს დამხობმა გენერალმა ციციშვილმა მარიამ დედოფლის რუსეთში გადასახლება მიანდო გენერალ ლაზარევს.

დედოფლის ხვეწნა-მუდარას, რომ ის რუსეთში არ გადაესახლებინათ ციციშვილმა ყურადღება არ მიაქცია. მარიამა გადასწყვიტა ხევსურეთში გაქცევა.

იქ 1,000 მანეთი გაგზავნა და უთვლიდა თუ ვინცობა არის რუსებმა დამიჭირონ და ძალით გამაგზავნონ, გზაში რუსის რაზმს დახვდით და ნუ გამიშვებთო.

18 აპრილს 1803 წ., სადამოთი მარიამი მზად იყო გასაქცევად. ბარგი შეკრული ჰქონდა, ცხენებიც ავლაბრის ხიდთან ჰყავდა მომზადებული. დედოფლის ოჯახი დიდ რიცხოვან, იყო, ყურადღება, რომ არავის მიეპყრო, ჯერ შვილები გაგზავნა ავლაბარში და მერე თითონ უნდოდა წასვლა. ეს ამბავი ციციშვილმა გაიგო და ხელი შეუშალა მარიამს. მეორე დილას ლაზარევი დედოფალთან მიიჭრა და მოსთხოვა საჩქაროთ ბარგი აეკრიფა და რუსეთს გამგზავრებულიყო. მარიამმა ცივი უარით უთხრა. უზრდელმა გენერალმა ძალას მიმართა მივარდა დედოფალს და უნდოდა ტახტიდან ფეხით გადმოეთრია.

მარიამმა უცბად მუთაქაში დამალული ხანჯალი იძრო და ისე მაგრად ჩასცა ლაზარევს რომ ხანჯლის წვერი მეორე გვერდში გამოვიდა. ლაზარევი უსულოდ დაეცა. დედოფლის ქალმა თამარი თბილის პოლიცმეისტერს მივარდა და ხანჯლით დასჭრა. ციციშვილმა იმავ დღეს გაგზავნა მარიამი რუსეთში. მთიულებმა რომ გაიგეს დედოფალი რუსეთში მიჰყავთო იარალი შეისხეს და დარიალის ხეობა დაიჭირეს, უნდოდათ დედოფლის განთავისუფლება. რუსის ჯარის დანახვაზე მთიულებმა ვეღარ მოითმინეს უდროოდ დაახალეს რუსებს თოფები. ამით თავის ადგილი რუსებს შეატყობინეს. რუსის ერთმა ნაწილმა მთიულებზე იერიში მიიტანა. და მეორე თერგის ხიდისაკენ გაეშურა და ხიდზედ გაასწრო და დედოფალი კი გაიყვანეს. მარიამი ქ. ბელგოროდის მონასტერში მოათავსეს. დიდი წვალება და გაჭირვება ნახა მარიამა რუსეთში.

1850 წელს მარიამი გარდაიცვალა, ამავე წლის 17-მკათათვეს ის საქართველოში მოასვენეს და მცხეთის მონასტერში დიდის ამბით დაასაფლავეს.

**კახეთის ამბოხება**

7

საქართველოს არცერთს კუთხეს არ დასტეხია თავზე ის უბედურება, რაც დაატყდა კახეთს რუსების შემოსვლის გამო. ეს მხარე რუსის ვერაგმა და თავხედმა კაპიტან-ისპრავნიკებმა ისე აიღეს, რომ კახეთს თავის დღეში მსგავსი რამ არ ახსოვს დღიდან არსებობისა. რუსის მოხელეებმა კახელები მოთმინებიდან გამოიყვანეს და მათში 1811—1812 წ. ზამთარში ამბოხებამ იჩინა თავი.

ამ ამბოხებას სათავეში ჩაუდგნენ კახეთის გამოჩენილი თავადები და ხელმძღვანელობდნენ—მათში მოხსენებულია: ჭავჭავაძე, ამილახვარი, ანდრონიკოვი, ერისთავი, ჩოლოყაშვილი, აბაშიძე, ვაჩნაძე, მაყაშვილი და სხვ. მათ ყველას მამულები ჩამოართვეს და სახაზინოთ ჩარიცხეს.

აი ის მიზეზები რამაც გამოიწვია კახეთის ამბოხება და რომლებიც გამოძიებამ დაამტკიცა და აღწერილია აქტებში:

1) მოწყალეო ხელმწიფევ, სწერდნენ კახელები თხოვნაში, იმ პირებმა, რომლებიც თქვენ დაგვიყენეთ ისე გაგვძარცვეს და ისეთ უკიდურესობამდის მიგვიყვანეს, რომ არც ოსმალებისაგან, არც სპარსელებისაგან და ლეკებისაგან ამგვარი დღე არ დაგვდგომია.

2) აქ მყოფი თქვენი „ვახმისტერი", სჩიოდნენ კახელები, როდესაც პურს აგროვებს გლეხებში, გლეხებს უბრძანებს წაკუზვას, ერთზე ჯდება, როგორც სკამზე და მეორეს ზურგზე სწერს მაგიდის მაგიერ.

3) როდესაც კაპიტან-ისპრავნიკები მოდიან ჩვენთან, გვეუბნებიან, რომ ისინი არიან ჩვენი მეფეები და ისეთს ხარჯსა და გადასახადს გვახდევინებენ, როგორც მეფეს ეკუთვნის.

4) თითონ გენერალი ტორმასოვი გულ ახდილად სწერს ერთს ადგილას: „მე არ მინახავს ასეთი გახრწნილი პოლიცია როგორც აქ, ვფიქრობ ამის მსგავსი არსად არ არის".

5) გენ. პოტტო თავის თხზულებაში სწერს: საქართველოში ისეთს პირებს აგზავნიდნენ სამსახურში რუსეთიდან, რომლებთაც იქ არ დაედგომლებოდათ: ესენი იყვნენ საეჭვო ზნეობის ხალხი, გაფუჭებული რეპუტაციისა, გაუმაძღრები, ვერცხლის მოყვარულნი ესენი მოეშურებოდნენ საქართველოში, რათა აქ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი უმდაბლესი ინსტიქტები.

6) სიღნაღის კაპიტ. ისპრავნიკს მაგალითად მუდამ ლოთობდა და ეძინა, უქრთამოდ კარებს არ გააღებდა და მნახველს არ ინახულებდა.

როდესაც გლეხები საჩივლელად მასთან მიდიოდნენ, თუ მათ მუჭაში დამზადებულ ქრთამს დაუნახავდა, მაშინ სახლში შეუშვებდა და თუ ვინმე უქრთამოდ მივიდოდა ბევრსაც სცემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7) ზოგჯერ ხუთი მანეთის საღირალ საქმეში ხუთ თუმან ქრთამს ართმევდნენ. მექრთამეობა სულ სხვა და სხვანაირი იყო და დაუფარავი.

8) თუ მაგალითად, სადმე ჯარის სადგომს სახლს ააშენებდნენ ან ზოსელს, მაშინვე უბრძანებდნენ დანგრევას, მიზეზად იმას მოიგონებდნენ, რომ კარი ან ფანჯარა იმ მხარეზე და ადგილზე არა აქვს სადაც უნდა იყოსო.

9) სასამართლოებში რამდენიმე წლობით ეყარა თხოვნები, მაშინ ირჩეოდა თუ კარგ ქრთამს გაიღებდნენ.

10) როდესაც გლეხები ჯარისათვის პურს თბილისში ჩამოიტანდნენ 2—3 კვირა უნდა ელოდათ სანამ პურს ჩაიბარებდნენ, ხარ-კამეჩი შიმშილით ეხოცებოდათ, ჩამოსატან ფულს მათ არავინ აძლევდა. პირველ რიგში მათ ანთავისუფლებდნენ ვინც ქრთამს გაიღებდა.

11) ყველაზე უფრო თავსატეხი კახელებისათვის ურმების ბეგარა იყო. რუსის ჯარს ხშირად უხდებოდა აქეთ იქით გალაშქრება, ბარგის საზიდავად ურმებით გლეხებს იწვევდნენ, შიმშილსიცივისაგან მთელი ტრანსპორტები სწყდებოდნენ და მეურმეები შინ თვალცრემლიანები ბრუნდებოდნენ.

„სადაც კი გვიწვევდნენ, სჩიოდნენ ბოდბისხეველები, ჩვენ ერთგულად მივდიოდით ურმებით: განჯაში, გუმბრიში, ახალციხეში, ნუხაში და იმერეთში. ფოთში საქონელი ზურგით ვზიდეთ, ვინაიდან 15 ყვავარ ხარ-კამეჩიდან არც ერთი აღარ დარჩა ცოცხალი". თუმცა კანონით დახოცილ საქონლის ფასი უნდა ეძლიათ გლეხებისათვის, მაგრამ კაპიტან-ისპრავნიკები ფულებს ჯიბეში იდებდნენ და კარგი ბიჭი იქნებოდა, ვინმე საჩივარს გაჰბედავდა.

12) თუ კახეთში მყოფი კაპ.-ისპრავნიკი მოისურვებდა თბილისში ან სხვა რომელიმე ქალაქში მეგობრისათვის კახური ღვინისა და სხვა რასმეს საჩუქრად გაგზავნას, ურმებს იწვევდა და ყოვლად უსასყიდლოდ 100 ვერსზე ჰგზავნიდა.

იყო ისეთი შემთხვევები, როცა წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ქართლ-კახეთი 112,154 ურემს და 99,780 ცხენს იძლეოდა.

13) გენ. ლაზარევის ბრძანებაში ნათქვამია: „სამწუხაროდ, ჩვენი ჯარი ვერ იქცევა ღირსეულად: ოფიცრები ცუდად ეპყრობიან ქართველებს, ჯარის-კაცები ართმევენ მათ საქონელს, ნივთებს, აოხრებენ მათ ვენახებსა და ბაღებს, ღვინიან ქვევრებს აცარიელებენ და შიგ მიწასა ჰყრიან, ვენახების ლობეებს შეშათა სწვავენ. თუ კაცს, რომელიც დამნაშავე იყო, ხელთ ვერ იგდებდნენ რუსები, დაიჭერდნენ ქალებს, ატიტვლებდნენ, ნამუსსა ხდიდნენ და მერე წკეპლავდნენ, როდესაც მეურმეს 1—2 საათით დაუგვიანდებოდა და დროზე ხარებს ვერ შეაბამდა ჯარის-კაცები ქალებს იჭერდნენ და ურემში აბამდნენ.

14) როდესაც ჯარის კაცები თავის მხეცურ ინსტიქტის დაკმაყოფილებას მოისურვებდნენ, სოფლებში ქალებს თავისუფლად იჭერდნენ, აუპატიურებდნენ და ქმრები კი უცქეროდნენ ხელფეხ შეკრული, იყო შემთხვევები, როდესაც ცოლი ქმარს შველასა სთხოვდა, ქმარი უპასუხებდა: „ხომ ხედავ მეცა მციმენო".

მცხოვრებლებს ლოგინიდან ჰყრიდნენ და შიგ კაცები სწვებოდნენ.

„ყველაფრის მოთმენა შეგვიძლია, მაგრამ, როდესაც ცოლებს ხელიდანა და ლოგინიდან გვტაცებენ და აუპატიურებენ ამის მოთმენა არ შეგვიძლიაო" სჩიოდნენ კახელები.

მოთმენის ფიალა ივსებოდა, ყელში სისხლი აწვებოდათ და აღარ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ.

თებერვლის 2—მოთმინებიდან გამოსული თიანეთის სოფლებმა ეკლესიის გალავანში თავი მოიყარეს და არჩევდნენ თუ როგორ დაეღწიათ თავი სალდათების თავგასულობისაგან.

ამ დროს სახლიდან გამოვარდა ერთი განრისხებული ქალი, ქმარს ქუდი მოჰგლიჯა, თავის ლეჩაქი დახურა და უთხრა: „ახლა მე ქმარი ვარ და შენ კი ცოლიო; მე გაუპატივრებული, მივდივარ შური ვიძიოო. ამოაძრო მას ხანჯალი და გაეშურა რუსის ჯარის კაცების სადგომისაკენ. ხალხმა იგრიალა და მიჰყვა მას, მომეტებული ნაწილი რუსებისა აკუწეს და ზოგმა გაქცევით უშველა თავს. ცეცხლი აინთო და თიანეთიდან მთელ კახეთს მოედო. სოფ. მანავაში და კაკაბეთში მდგომ ნარვის ცხენოსანი პოლკი ძლივს გადარჩა სრულიად ამოწყვეტას, მთელი მათი ქონება კახელებს დარჩათ. აგრეთვე ამოწყვეტილი იქმნა სიღნაღის გარნიზონი. მეამბოხეებმა რუსის ჯარის კაცები, ჯერ გაატიტვლეს, მერე აქეთ იქით გაიფანტეს და სათითაოდ დახოცეს, როგორც ნადირები. რამდენიმე ოფიცერი ეკლესიაში შევიდა და იქ გამაგრდა, მეამბოხეები შიგ შეიჭრნენ, ყველანი აკუწეს, მათ უფროს მაიორ გეინეს ჯერ ენა მოსჭრეს გადააყლაპინეს და მერე აჰკუწეს. საგარეჯოდან თელავის გასამაგრებლად 250 ცხენოსანი რუსის ჯარის კაცი გაგზავნეს, დანიშნულ ადგილს მარტო 148 კაცმა მიაღწია დანარჩენები გზაში გაწყვიტეს. ბოდბისხევში ამოხოცეს 212 რუსის ჯ. კაცი. 5 - თებერვალ საგარეჯოში თავ. ქობულაშვილმა 25 კაცი გასწყვიტა, კახეთში ამ დროს ცხოვრობდა გიორგი XII შვილი გრიგოლ ბატონიშვილი, რომელიც ერთად ერთი იყო დარჩენილი და დავიწყებული რუსებისაგან. ხალხმა ის საქართველოს მეფეთ აირჩია და შეჰფიცა, ეკლესიებში იხსენიებდნენ. გრიგოლმა ქართლ-კახეთში პროკლამაციები დაგზავნა. შეიძრა მთიულეთი, სამხედრო გზაზე რუსის საყარაულოში ამოსწყვიტეს და მოძრაობა მოისპო.

ცოტა ხნის შემდეგ კახეთში ალექსანდრე ბატონიშვილი გაჩნდა და მეამბოხეთ ხელმძღვანელობა დაუწყო.

მაგრამ როგორც ზევით ვსთქვი ის დამარცხებული იქნა რუსის შეერთებული ძალით და კახეთი დაწყნარებული. უხეშმა ძალამ სძლია, და საქართველოში რუსები გაბატონდნენ. ალექსანდრე I გასტეხა ფიცი და პირობა საქართველოსთან. დაარღვია, ქართლ კახეთის სამეფო მან უბრალო გუბერნიად გადააქცია. მოსპო მეფეები, ჯარი, ქართული ფული, შინაური ყოფა ცხოვრება და მათრახი გაიბატონა.

ქართლ-კახეთის შემდეგ, რუსის მთავრობამ დასავლეთ საქართველოს მიაქცია ყურადღება და მისი ჩაყლაპაც მოინდომა. სურვილი ჩქარა აისრულა.

**ავქსენტი აბესაძე.**

# სომხეთი

**მესოპოტამიის სომეხი ლტოლვილები.** სომხეთის მთავრობამ მესოპოტამიის სომეხ - ლტოლვილთა სასარგებლოდ გადასდო 3 ნახ. მილიონი მან. რწმუნებული დანიშნულია არსენ კიტური, რომელიც მალე უნდა გაემგზავროს მესოპოტამიაში. ამ ფულით ლტოლვილების ერთ ერთი პატარა ნაწილი უნდა გადმოსახლდეს სომხეთში, და დანარჩენი ფული უნდა მოხმარდეს ბაქუბაში მოგროვილ ლტოლვილებზე და უდაბნოში გაფანტულ სომხებზე.

**კომისარ ა. მანუკიანის დასჯა.** მარიამობისთვის 14 ს მოხდა საგანგებო სამართლის პირველი სხდომა სენატორ დობროვლიანკის თავმჯდომარეობით ვაიჩჩა ერევნის მაზრის მესამე განყოფილების კომისარ ასტვაცატურ მანუკიანის საქმე. მანუკიანს ჰბრალდებოდა სახელმწიფო ფულის 9600 მანეთის მითვისება. სასამართლომ კომისარი მანუკიანი დამნაშავედ აღიარა და გადუწყვიტა ღირსების აყრა და 4 წლის ციხე. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მაისის 23-ს გამოცხადებული ამნისტიის აქტი და დაპატიმრება ორი წლით დაუკლო.

**ერევანი მარიამობისთ. პ-ს პოლკ. ჰასკელი სომხეთის პარლამენტში.**

**თავმჯდომარე:** „მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! დღეს სომხეთის უმაღლეს კანონმდებელ დაწესებულებას ეწვია ჩვენ ძვირფას მოკავშირეთა მიერ გამოგზავნილი სომხეთის უმაღლესი კომისარ ი პოლკ. ჰასკელი. ბ 6 პოლკოვნიკმა ჩვენს სამშობლოში მაშინ შემოსდგა ფეხი როდესაც, შეუბრალებელი მტერი მას მიწასთან ასწორებს და მის შვილებს ჰხოცავს ათასობით. შემდეგ თავმჯდომარე ასწერს სომხის ხალხის უმძიმეს მდგომარეობას, რომ იგი გარემოცულია მტერის მიერ და უკანასკნელ მდგომარეობაში იმყოფება.

„ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ ვიყავით მცირე მოკავშირენი დიდ მოკავშირეებთან მათ გამარჯვებამ იმდენი ჩაგვინერგა ყოველთვის მგლივიარეთ რომ სომხეთი აღსდგებოდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენ ღირსნი ვართ მივიღოთ მოკავშირეთაგან პატარა კუთხე მზის ქვეშე, ღირსი ვართ ვიქონიოთ უფლება ჩვენ ისტორიულ ტერიტორიაზე მოსახლეობისა, იმ ტერიტორიაზე, რომლის ყოველი ნაჭერი საკუთარი სისხლითა გვაქვს განბანილი.

ჩვენი უფროსი მოკავშირენი, თავის ძალაზე დაიმედებულნი, არ ისწრაფიან, დამარცხებულთა შური იძიონ. ამით სარგებლობენ მტრები და სულტნებს შიშსა და ეჭვს გვინერგავენ.

ჩვენი მტერი, აღმოსავლეთის დესპოტიზმის განსახიერება, მხოლოდ ძლიერ მუშტს ეთაყვანება. ჩვენმა ძლიერმა მოკავშირეებმა უნდა აგრძნობინონ ოსმალეთს, რომ მათმა ძალებმა ჩვენ არ დაგვტოვეს, რომ საჭირო დროს სამართლიანობის სახელით ისინი ლაგამს ამოსდებენ ჩვენს მტერს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, მე მგონია, არ შევცდები, თუ თქვენი, პარლამენტის წევრის, სახელით დიდად პატივცემულ წევრს განუცხადებ რომ სომხეთი მოკავშირეთაგან, კერძოდ თავისუფალ და თავისუფლების მოყვარე ამერიკისაგან მოელის ქონებრივ და ზნეობრივ დახმარებას.

შემდეგ თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ამერიკაში სომხები მრავლად არიან და რომ ამერიკას დიდი ხნიდან იცნობენ სომხები. შემდეგ იგი მიესალმება უმაღლეს კომისარს. პარლამენტის წევრნი ოვაციებს უმართავენ. უმაღლესი კომისარი მოითხოვს თავისი მთარგმნელის სახელით, რომ მიეცეს საპასუხო სიტყვის წარმოთქმის უფლება.

**პოლკ. ჰასკელის სიტყვა.** (ინგლ ენაზე)

მოწყალეო ხელმწიფენო! მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ვარ და შემლება მაქვს გესაუბროთ. მე ვიცი რომ ეხლა ყოველი თქვენგანის თავში მხოლოდ ერთად ერთი აზრია: რაც შეიძლება ჩქარა მიიღოთ მოკავშირეთა დახმარება და სამშობლო გადაარჩინოთ საფრთხეს. ამერიკის ხალხი მძიმედ მოქმედობს. მან დაიგვიანა საერთაშორისო ომში ჩარევაშიც; მაგრამ როდესაც კი ჩაერია, მან მოახმარა ამ საქმეს მთელი თავის ენერგია და თავის მიზანსაც მიაღწია.

ეხლა იგი აგვიანებს საზავო კონფერენციის ხელშეკრულების რატიფიკაციას. ამრიგად სანამ ეს ხელშეკრულება არ დამტკიცდება და ხალხთა ლიგის საკითხი არ გაირჩევა, მანამ სომხეთის მანდატის საკითხი არ გადასწყდება. რასაკვირველია ეს არც თქვენ, არც მე არ გვასიამოვნებს. მაგრამ დავსტოვოთ მომავალზე ლაპარაკი და დღისაზე ვილაპარაკოთ.

ეხლა მთავარი საკითხი იმაში მდგომარეობს, როგორ უნდა მიიღოს დახმარება შრავალ-ტანჯულმა სომხის ერმა. ეჭვს გარეშეა, რომ თქვენ, მიიღებთ სამხედრო დახმარებას არა იმისათვის რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის წინაამდეგ სამოქმედოთ, არამედ სომხეთის საზღვრების დასაცავად. მოკავშირეთა ჯარები დაიცავენ იმ საზღვრებს მაინც, რომელნიც დროებით თქვენ ეხლა გიჭირავთ.

პარიზში ყოფნის დროს სომხეთის მდგომარეობას კარგად არ ვიცნობდი. მაგრამ მისი ის მოხსენებებისა და ნოტების გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ სომხეთს აუცილებლივ უნდა გაეწიოს სამხედრო დახმარება და რომ ბრიტანეთის ჯარი უნდა ამიერკავკასიაში დარჩეს მანამ, სანამ მას შესცვლის რომელიმე სახელმწიფოს ჯარები.

როდესაც კონსტანტინოპოლში გავიგე, რომ ინგლისელთა ჯარი ამიერ კავკასიიდან გაჰყავთო, მე დაუყოვნებ ლივ საზავო კონფერენციას და კლემანსოს პროტესტი განვუცხადე. ამ დღეებში პარიზში ირჩევა ეს საკითხი და ვიმედოვნებ, რომ ჩემს თხოვნას პატივსა სცემენ და ინგლისის ჯარი ამიერ-კავკასიაში დარჩება.

მაგრამ თუ ისინი დასტოვებენ კავკასიას, ჩვენ მოგვეპოვება საკმაო ჯარი, რომ ისინი შევცვალოთ

სომხეთის ეკონომიურ, სამხედრო და ფინანსიურად უზრუნველსაყოფად უკვე გავეცი შესაფერი განკარგულება. მაგრამ ეს ეხლა მეორე ხარისხოვანი საკითხია.

უცილობელია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანმა ბრიტანეთის მიერ დაწესებული საზღვრები გადმოლახა. ეს გარემოება მაიძულებს, რომ დაუყოვნებლივ გავემგზავრო თბილისში და ბაქოში და აზერბაიჯანის მთავრობა გავაფრთხილო, რომ თუ ის არ მიიღებს ამ მდგომარეობის წინააღმდეგ ზომებს და თუ დროზე არ შესწყვეტს სამხედრო მოქმედებას, მაშინ ამას მოჰყვება ცუდი შედეგი არა მხოლოდ აზერბაიჯანისათვის, არამედ აზერბაიჯანის მთავრობის წევრნი პირდაპირ აგებენ პასუხს (დიდი ტაში).

თბილისში მე მოვილაპარაკებ ინგლისელთა სარდლობასთან, რომ მათ დაუყოვნებლივ გაუწიონ სომხეთს სამხედრო დახმარება. პარიზიდან ჩქარა ჩამოვლენ სპეციალისტები მიწად-მოქმედების კარგად მოსაწყობად და ვაჭრობა-მრეწველობის გასაუმჯობესებლად. თუ ჩემსა და პარიზს შორის ცნობების მიწოდ მოწოდება დაგვიანდება, მაშინ მე თვით წავალ პარიზში და მოვითხოვ რომ კონფერენციამ დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დახმარება სომხეთს. ამ შემთხვევაში ჩემს განკარგულებაში იქნება ყველაზე მალი გემი შავ-ზღვაზე. (ტაში).

ტერიტორიულ საკითხს, რამოდენიმე ვერსის დაკლება მიმატების საკითხს ეხლა არ ექნება მნიშვნელობა როგორც არ ჰქონდა მნიშვნელობა ბელგიის ან რუმინეთის ტერიტორიის დაჭერას. სომხის ხალხი დღეს მზად უნდა იყოს, მიიღოს ეს დახმარება, დანარჩენს შემდეგ მოვარიგებთ, ე. ი. ძირითად საკითხის გადაჭრის შემდეგ დანარჩენი თვით გადასწყდება.

მე ვითხოვ, რომ ჩემი ლაპარაკი ისე არ გაიგონ, ვითომც მე ოსმალეთის, საქართველოს ან აზერბაიჯანის წინააღმდეგ აგრესიულად ვიყო განწყობილი. მე მხოლოდ კონფერენციის დავალების თანახმად სომხეთის ინტერესებს ვიცავ.

ამავე დროს სომხის ერი უნდა ეცადოს, რომ კეთილი განწყობილება დაამყაროს თავის მეზობლებთან. მე ვატყობ, მთავრობის ცდას თავდაცვისაკენ მიმართულს. დღეს დრო არ არის პოლიტიკური პროგრამის განხორციელებისა, დღეს ხალხის სიცოცხლის საშველად უნდა ვიღვწოდეთ.

ჩემი პროგრამის განხორციელება მთლიანად სომხის ხალხზე და მთავრობაზე ჰკიდია.

(მადლობას გიძღვნით გულწრფელ შეხვედრისათვის და გისურვებთ ენერგიას სამშობლოს საშველად! (ტაში და ოვაციები).

# ვენახების მდგომარეობა და მოსავლის პირი 1919 წ. ქუთაისის გუბერნიაში

წელს ქუთაისის გუბერნიაში, სანამ ყვავილობას დაიწყებდა ვაზი ძლიერ კარგი მოსავლის პირი უჩნდა მას. გოგირდის უშოვრობისა და სიძვირის გამო უმრავლესობას მით არ შეუწამლავს ვენახები, არც ყვავილობამდის და არც ყვავილობის დროს. თანაც, სწორეთ ყვავილობის დროს, ასტყდა ცივ ამინდებიანი წვიმები და თითქმის ორ კვირაზე მეტი გასტანა გაუსხლელად. ამან გამოიწვია ყვავილების მოწყვა და დაცვენა. შაბიამნის ფასმაც საზღაპრო სიძვირემდის მიაღწია. ელოდენ იაფფასიან შაბიამანს და ბევრს პირველი შეწამვლა დაუგვიანდა; თანაც ხანგრძლივმა წვიმებმა და ღრუბლიანმა დღეებმა, ვაზის ფოთლები გაანაზა. ჩახედა თუ არა, ცხოველმა მზემ, განაზებული ფოთოლი დასწვა და დახრუკა. ალაგ შეწამლული ვენახებიც გაფუჭდა ამ მიზეზით. ცივმა ქარმაც დააზიანა ალაგალაგ ვენახები. ფოთოლი ჩახრუკა და ჩამოაცვინა. გასაოცარ სანახაობას წარმოადგენდა ზოგი ვენახი. როგორც გამხმარი თუთუნის ფოთოლი ისე ჰქონდა ფოთოლი გამხმარი. ასანთი რომ გაგეკრათ შიგა და ერთი ძირისთვის გაგეჩინათ ცეცხლი, ერთბაშად გადიწვებოდა მთელი ვენახი. სოფლის მუშა კი ამბობდა (ჭრაქმა) მილდიუმ მომისპო ვენახიო. მილდიუ ხომ სიკოს ავადმყოფობაა და ფოთლის ქვეშა პირს თეთრი ობი გამოეკვრება და ამის მსგავსი კი არა ყოფილა რა, როდესაც ერთბაშად მოისპო უმრავლესობა ვენახებისა, ფოთოლი მოსპო უეცრად ცხოველმა მზემ და ალაგ სიცივემ. შემდეგ სინოტიომ და სითბომ ნიადაგი მოუპოვა ვაზის ყოველ-გვარ ავადმყოფობის გაჩენა — განვითარებას. მოედვა ვენახებს ჭრაქის მილდიუმ და ანტრაკნოზი. გაცხელდა თუ არა ამინდი, ჩაშრა ზედა პირი მიწისა ნაცარიც გაუჩნდა მტევნებს და ყლორტებს. გაშიშვლდა ვენახები ფოთლისაგან, ანტრაკნოზმა დახრუკა ყლორტები და მტევნები, ნაცარმა გაანადგურა ახლად გამოკვირტული მტევნები, ჭრაქმაც გააშავა მტევანზე მარცვლები და დააცვინა. დარჩა მუშა მევენახეს, ფოთლისაგან და მტევნებისაგან დაცარიელებული და დაავადებული ვაზი. ალაგ-ალაგ, სადაც დროზედ შეუწამლავთ, როგორც გოგირდით ისე შაბიამნით გვარიანი ვენახებია—მაგრამ საშუალზე კიდევ ნაკლები. შეიძლება ოჯახში საყოფი ღვინო მისცეს პატრონს.

ასეთი მოსპობა ვენახების უმთავრესათ სტიქიურ მოვლენებს უნდა მივაწეროთ: გაუსხლელ წვიმებს და სიცივეს ყვავილების დროს და უეცრად ცხელი ავნიანი დღეების დადგომას. ამასთან, წვიმამ მუშას ნება არ მისცა ვენახში მუშაობის და ვერც უწამლა და ვერც გამოთოხნა იგი. ბალახით აივსო ვენახები და გაჩნდა ბუდე ყოველგვარ ავადმყოფობისა. სწორეთ იმ დროს (ე. ი. გაყვავილებისას), როდესაც გოგირდის შეფრქვევა იყო საჭირო, წვიმიანი და ღრუბლიანი დღე იდგა. გოგირდის მტვერს კი არავითარი გავლენა არა აქვს ნაცრის სოკოზე თუ მის შეფრქვევის დროს მოწმენდილი მზიანი დღეები არ დადგა და ასეთივე არ გაგრძელდა ერთსა და ორ დღეს მაინც. ის გოგირდი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, რომლის შეფრქვევის შემდეგ ან გაწვიმდება და ან ღრუბლიანი დღეები დადგება. მზის სხივების საშუალებით იხსნება გოგირდი და ჩნდება მისი გაზი, რომელიც სპობს ნაცრის სოკოს. შაბიამნის სიძვირემ და გოგირდის უშოვრობამაც ხელი შეუწყო, რასაკვირველია, წრევანდელ ვენახების განადგურებას. ყველამ ვერ შესძლო ფუთ შაბიამანში 1000 და 1300 მან. მიცემა და შეუწამლავი დარჩა ვენახი პირველათ, სანამ მთავრობას არ მოუვიდა შაბიამანი და გირვანქა 13—13 მ. არ გახდა. შეწამლული ვაზი კი უფრო უწინააღმდეგება, როგორც ავათმყოფობას, ისე ბუნების მოვლენებსაც—სიცივეს და სიცხეს, ვიდრე შეუწამლავი. გოგირდი ხომ, გარდა ნაცრის წინააღმდეგობისა, ენერგიას მატებს ვაზს და ზრდა-განვითარებას. საერთოდ წელს ვენახები ყველგან გაფუჭდა, როგორც იმერეთში ისე გურია-სამეგრელოშიც. ასე რომ ვენახების მდგომარეობა აუტანელია და ღვინის მოსავალი საშუალზე ბევრად ნაკლები იქნება. საპალნე (12 ფუთია) ღვინის ფასმა იმერეთში 5,000 მანეთამდის აიწია და რა იქნება მომავალში უფალმა უწყის.

საჭიროა ასეთ დაზიანებულ ვენახებს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რომ გამოკეთდნენ იგინი და სულ არ გადახმნენ.

მევენახეობა-მეღვინეობა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი კულტურა არის და უმთავრესად ამ მეურნეობის დარგზეა დამყარებული ჩვენი ეკონომიური აღმატება და სოფლის მუშა ხალხის საცხოვრებელ სახსრის მოპოება და ამ დარგის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროა სოფლის მუშამევენახე-მეღვინეს, უფრო მეტად და დაკვირვებით მოვეხმაროთ, ვიდრე დღემდი ვეხმარებოდით, რომ მას საშუალება მიეცეს, შეისწავლოს მცოდნე პირთაგან გაუმჯობესებული ტეხნიკა, როგორც ვენახის გაშენება-მოვლისა, ისე ღვინის დაყენებისა.

ამა წლის 1 ენკენისთვეს გაიხსნება თბილისში სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობა. ყოველი სოფლის საზოგადოება უნდა შეეცადოს, რომ გაგზავნოს ყრილობაზე დასასწრებლად თავისი წარმომადგენლები. ამ ყრილობაზე ბევრი საყურადღებო საკითხები გაირჩევა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში. ეს ყრილობა პირველია საქართველოში და თუ იგი მკვიდრ მუშაობას შეუდგა, მანვე უნდა გადასწყვიტოს ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის ბედიღბალი.

ქუთ. მევენ. და მეღვ. კომიტეტის ინსტრუქტორი **დ. მდივანი.**

# კონსტანტინე მკურნალის ხსოვნას

ერთი ნიჭიერი პედაგოგი კიდევ მოაკლდა ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას. ქუთაისში გარდაიცვალა 20 მკათათვეს დაუღალავი, მუშაკი კონსტანტინე მკურნალი. მთელი თავისი ძალღონე კონსტანტინემ შესწირა პედაგოგიურ ასპარეზს, იგი სამაგალითო მასწავლებელი იყო. განსვენებულს დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული, მას მიზნად ჰქონდა დასახული რა სოფელშიც კი მივიდოდა—იმ სოფელში ხალხისვე დახმარებით დაბალ დაწყებითი სასწავლებელი აეგო, და მართლაც—რომელ სოფელშიც კი განსვენებულს ფეხი შეუდგამს—იმ სოფელს დაწინაურება დამჩნევია.

სოფლის პაწია ბავშვებზე, მას დიდი შრომა მიუძღვის—იგი ზაფხულობით დადიოდა სოფლად და ეცნობოდა სოფლის გლეხის შვილებს, უნერგავდა მათ სწავლისადმი სიყვარულს. მის სამახსოვროდ დამრჩა ერთი მოგონება.

ერთხელ ჩემს სოფელში გავარდა ხმა, რომ მასწავლებელი მკურნალი სამი თვით ჩამოვიდა და ბავშვებს იბარებსო. მე რასაკვირველია სხვა ბავშვებთან ერთად მივედი ბ-ნ მკურნალის ეზოში და ხეს აველტუზე.—ამ დროს თვალი მომკრა განსვენებულმა და დამიძახა: „ბავშვო აქ მოდი, მანდ რას აკეთებ"-ო. მე მივედი, თავზე ხელი დამადო და მითხრა. „სწავლა გინდა"-ო... „დიახ ბატონო" მე უთხარი ამ სიტყვებით მან ხელში ამიყვანა, და ასე შემიყვანა სახლში, დამსვა სხვა ბავშვებთან ერთად და სწავლა დამაწყებინა. განსვენებულს ჩემთვის არ მოუთხოვია სწავლის ფული, წიგნებსაც თვითონ ყიდულობდა ზოგიერთ ბავშვებისათვის. სხვისი დახმარება, ბავშვებისათვის სწავლით შემწეობის აღმოჩენა იმის სულის მოთხოვნილებას შეადგენდა, და დღეს ბევრს ნახავთ საქართველოს კუთხეებში ისეთ პირებს, რომელთაც მხოლოდ კონსტანტინეს დახმარებით შეიძინეს სწავლა. იგი ყველასათვის ერთნაირი იყო, არავისთვის არ დაიშურებდა არც ზნეობრივსა და არც ნივთიერ დახმარებას,—ასეთი საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი დაჰკარგა ქართულმა სკოლამ.

**გაბო ბოჭორიშვილი.**

# მიმოსვლა სახალხო მატარებლებისა

ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. | 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. | 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. | 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. | 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. | 30 წ. |

მოდის თბილისში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. | — |
| ფოთიდან | № 4 | საღ | 8 ს. | 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. | 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. | 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. | 06 წ. |

თბილისი-სალოღლი

გადის ხალოღლში

| | | | |
|---|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. | 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. | 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. | 50 წ. |

მოდის ხალოღლიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. | 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. | 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. | 52 წ. |

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გ ა დ ი ს

| | | | |
|---|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. | 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. | 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. | 26 წ. |

მ ო დ ი ს:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. | 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. | 24 წ. |
| № 64 | საღ. | 8 ს. | 4 წ. |

თბილისი-სანაინა

გ ა დ ი ს:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მ ო დ ი ს:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი

ექ. პ. ტუღუშლაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესე და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

ბ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენიოდი და ... სევლის ... კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7- 92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.